პარასკევი, 28 ნოემბერი 1924 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩირაღდანი

ფასი 8 კაპ.

№ 21 გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 21

რევოლიუციის მსხვერპლი

(მოთხრობა 1905 წ. მოძრაობიდან).

1. სტამბის კარებთან.

დილის რვა საათმა მოატანა. სტამბის კარებთან ასამდე მუშას მოუყრია თავი და ელის კარის გაღებას. მომეტებული ნაწილი ასოთამწყობია.

ხუმრობენ, ოხუნჯობენ, მოსწრებულ სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს.

— რატომ კარებს არ გააღებენ, საცაა რვა საათიც შესრულდება? — ამბობს მაღალი, სარივით გაჭიმული მიტროფანე.

— შენს ბრძანებას ელიან,—მიუგო არა ნაკლებ მაღალმა თომამ.

— არა, ბატონ მეეზოვეს არ გაუღვიძნია ჯერა. როცა გაიღვიძებს, მაშინ გააღებს,—დაუმატა ევნატემ.

— ბატონი მეეზოვე ზის ახლა და ყავას მიირთმევს,—სთქვა ექვთიმემ და ულაზათოდ გადიხარხარა.

— შენ რა ცხენივით ჭიხვინებ?—უთხრა თომამ,—არ შეიძლება აგრე ჭიხვინი!

— მე აგრე მინდა! დაიკარგე იქით, შენ მე ყოველთვის მაკრიტიკებ!—გაჯავრებული შეუტია ექვთიმემ.

— ნუ ჯავრობ, ექვთიმე, ნუ ჯავრობ: ამხანაგისაგან ხუმრობა არ უნდა გეწყინოს!—დაყვავებით უთხრა ასოთამწყობმა კუზმამ, რომელიც ცოტა მოშორებით იდგა და შესცქეროდა მათ ლაზღანდარობას.

— კუზმა, აქლემი გინახავს შენ!—ჰკითხა თომამ.

— მინახავს, გინდა შენც გაჩვენო?

— აბა მაჩვენე...

— ჩაიხედე სარკეში და აქლემს დაინახავ,—მიუგო კუზმამ.

— გინდა მე მაიმუნი გაჩვენო, ბრუციანი მაიმუნი?

— მაიმუნი ის არის, ვისაც სხვა მიაჩნია მაიმუნად!

— ეჰე! ხომ გაგაცხარე!

— სრულიადაც არა; შენ მე ბრუციანს მეძახი იმიტომ, რომ ელამი ვარ და შენ თითონ კი, უსათვალეებოდ ვერაფერს ხედავ!.. ახლა, ვინ არის ჩვენში ბრუციანი?—ნიშნის მოგებით ჰკითხა კუზმამ.

თომამ დააპირა რიღასიც თქმა, მაგრამ ამ დროს მეეზოვემ კარი გაალო ჭრიალით და ყველანი სტამბაში შევიდნენ აურზაურით.

2. სამუშაოზე

კანტორის საათმა რვა დაჰკრა.

ამუშავდა მთელი სტამბა.

ეზოს ერთ კუთხეში მატორი გუგუნებს.

ქვედა სართულში ოცამდე მანქანა გრიალებს და ჰყრის დაბეჭდილ ფურცლებს.

ცალ მხარეს „როტაციონკა“ მუშაობს დამიყრუებელ გრიალ-ხრიალით და მისი ბორბლები ისე გამალებით ბრუნავენ, რომ კაცი თვალს ვერ შეასწრებს, მანქანების მოძრაობით კედლები ზანზარებენ და ისეთი ხმაურობაა რომ ყურთა სმენა არ არის.

ზედა სართულში კი სრული სიწყნარეა, მხოლოდ სუსტად მოისმის ქვედა სართულიდან მანქანების გუგუნი.

გრძელ და ვიწრო დარბაზში მოთავსებულა სამოცი ასოთამწყობი, განუწყვეტლივ გაისმის ვერსტატებში ასოების ტაკ-ტაკი.

ზოგი ხუმრობს, ერთმანეთს ებაასებიან.

შუა ადგილას ერთ რიგში დგანან მაღალი თომა, ებრაელი კურსმანი, კუზმა; მათ პირდაპირ —მიტროფანე და ექვთიმე. ყველაზე მეტს მიტროფონე ლაპარაკობს. დასცინის კუზმას, რომ ის ძალზე პატარა ტანისაა, ელამია! ცდილობს გაალიზიანოს და, ვინ იცის, რას არ ეუბნება, მაგრამ გულკეთილი კუზმა სრულიადაც არ ჯავრობს, პირიქით იღიმება, იცინის და ისე აძლევს პასუხს.

— კუზმა, იცი რა, გუშინ საღამოს ამაღლების პროსპექტზე ვირი ვნახე!—უთხრა მიტროფანემ.

— შე სულელო, რას გიკვირს, შენ ერთხელ გინახავს ვირი *) და მე ყოველ დღე ვხედავ...

— სადა?—გაიკვირვა მიტროფანემ.

— აი,აქ,ეფრონის სტამბაში.—მიუგო კუზმამ.

— ჰაი, შე ბრუციანო!—შეუტია გულმოსულმა მიტროფონემ:—მახინჯო!

— მერე რა, რომ მახინჯი ვარ?—ღიმილით ჰკითხა კუზმამ და განაგრძო:—ქვეყანა ასეა, ზოგი მახინჯია, ზოგი ლამაზია; აი ახლა მე მახინჯი ვარ, სამაგიეროდ შენ ლამაზი ხარ... ქვით... მორჩა, გათავდა!.. როგორ იქნება, რომ ყველანი ლამაზები ვიყოთ.

— მეც ლამაზი ვარ?—ჰკითხა თომამ.

— როგორ არა, —მიუგო კუზმამ,— შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ, როცა სახეზე გიყურებ, მინდა ზედ მოგაფურთხო..;

— ბრუციანო ეშმაკო!—გაჯავრდა თომა და პაპიროსს მოუკიდა.

— თომა, მაგ სიმაღლე კაცი ხარ და ერთ რიგიან სიტყვას ვერ გაიგებს კაცი შენგან!—უსაყვედურა ექვთიმემ.

— ეჰ, რა ვქნა, გაუნათლებელი კაცი ვარ,— წაილაპარაკა თომამ და მიტროფონეს თვალი უყო.

— ნუ გეშინიან, თომა, მალე გაგანათლებ და გასწავლი ზრდილობას!—უთხრა კუზმამ.

— ეს კარგი ამბავია,—სთქვა მიტროფანემ, მალე თომა განათლებას მიიღებს...

— ჰაი-ჰაი, რომ კარგია, განათლება უნდა მივიღო აი შენს უნივერსიტეტში!—დასცინა თომამ.

— ჩუმად იყავით, გამგე მოდის?—აუწყა ევნატემ და მთელ განყოფილებაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მართლაც კანტორის კარებიდან გამოვიდა გამგე, მგელივით გაიხედ-გამოიხედა და ჩამოუარა ასოთ-ამწყობთა რიგებს.

— რა ხმა ჩაგიწყდათ, რის გეშინიათ?—მიჰმართა კუზმამ ამხანაგებს:—ყმები ხომ არ ვართ, მუშები ვართ, რასაც ვაწყობთ იმისას ვიღებთ; არავის აქვს უფლება ჩვენ ლაპარაკი დაგვიშალოს!..

— დაიწყე კიდევ ყბედობა?!—დაუყვირა გაჯავრებულმა გამგემ, რომელსაც თვალი მისკენ ჰქონდა.

— კი არ ვყბედობ, ვლაპარაკობ, საქმეზე ვლაპარაკობ!—წყნარად მიუგო კუზმამ.

— მე ვიცი შენი საქმე—მუშების აღელვება, აყაყანება, სხვა და სხვა მოთხოვნილებათა წამოყენება!

— მე არავის ვაღელვებ, ვდგევარ ჩემს ალაგას და ჩემთვის ვმუშაობ...

— შენი ალაგი ციხეშია! —უთხრა გამგემ და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მოტრიალდა და განაგრძო:—შენ გგონია მე არაფერი ვიცი; ყველაფერი კარგად ვიცი, კარგად მესმის, არხეინად იყავი...

— თქვენ არაფერი არ იცით, თქვენ მხოლოდ ის იცით, რამდენი ათასი ასო ავაწყე და რამდენი აბაზი უნდა მივიღო!..

— აი, გაიგებ, თუ არ ვიცი!—დაემუქრა გამგე და კანტორაში შევიდა.

ნ. ა.

*) ვირი იშვიათი სანახავია რუსეთში.

— კუზმა, რა არის, რომ ყველაფერზე შენ ლაპარაკობ:—უსაყვედურა მეტრანპაჟმა გორდონმა.

კუზმამ ირონიულად შეხედა.

— რას მიყურებ მაგ ელამი თვალებით?!

— ლაქიას გაუმარჯოს!—სიცილით უთხრა კუზმამ:—ბატონი წავიდა, თავიდან მოვიშორე, ახლა მისი ლაქია მოვიდა...

— შენთან ლაპარაკიც არ შეიძლება!—დაუყვირა გორდონმა და თავის ალაგზე მივიდა.

მეორე დღეს კი კუზმამ პოლიციაში ამოჰყო თავი.

3. კუზმა ჩუდინი.

კუზმა ჩუდინი, ხელობით ასოთ-ამწყობი, ერთი იმ მრავალთაგანია, რომლებმაც გამარჯვებით დაავგირგვინეს მშრომელთა რევოლიუცია... პატარა კუზმა, თავისი მუშტის ოდენა თავით დაუღალავად იღწვოდა, არ ისვენებდა. ყოველთვის დაუზარებლივ დადიოდა კონსპირატიულ ბინაზე, სადაც იმართებოდა საიდუმლო კრებები და ამ კრებების დავალებას ყველას უკლებლივ ასრულებდა. დადიოდა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში, ავრცელებდა პროკლამაციებს და აკითხებდა მუშებს აკრძალულ წიგნებსა და გაზეთებს. ხშირად თავის ბინაზედაც მართავდა კრებებს რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც სტამბის მუშები, ისე სხვებიც.

გამგესთან ინციდენტის მეორე დღეს ის იყო კუზმამ დაუწყო მუშაობა, რომ პოლიციელიც თავზე დაადგა.

— თქვენ ხართ კუზმა ჩუდინი?—კითხა პოლიციელმა,

— მე გახლავარ,—მიუგო კუზმამ და მიხვდა, რაშიაც იყო საქმე.

— პოლიციაში გიბარებენ:

— მადლობას მოგახსენებ,—უთხრა კუზმამ და გაყვა პოლიციელს.

კანტორაში გავლის დროს კარებთან გამგე შეხვდა, რომელმაც უთხრა პოლიციელს:

— შორს დამალეთ ეს ავაზაკი, თორემ აქაურობა აამტუტა, მოსვენება არ არის ამისაგან:

— ბატონო პოლიციელო, გთხოვთ იცნობდეთ, ეს გახლავთ ჩვენი იუდა ისკარიოტელი;—დაცინვით უთხრა კუზმამ და გამოვიდა ქუჩაში.

— რად მიბარებენ?—ჰკითხა პოლიციელს, ჯიბიდან ჩუმად მუჭით ამოიღო ერთი პროკლამაცია და შეუმჩნევლად ისე დააქუცმაცა ხელებში, რომ ნახევარი თაბახი ქალალდი ათას ნაჭრად აქცეა, მერე გაშალა ხელის გული, შეუბერა და სულერთიანად გაფანტა.

— ეგ რა ჰქმენი?—ჰკითხა პოლიციელმა.

— არაფერი, ვთამაშობ; მე მიყვარს თამაშობა... ხომ მხედავ, რა პატარა ვარ. ბავშსა ვგევარ; როგორც ბავშს ვგევარ, ისე ბავშის ჭკუა მაქვს და ბავშურად ვთამაშობ!—სიცილით უთხრა კუზმამ და ძლიერ უხაროდა, რომ ჯიბეში ჩარჩენილი პროკლამაცია მოსპო, არხეინად იყო.

პოლიციელმა ჯერ კუზმას შეხედა ეჭვით, შემდეგ ქალალ ნაკუწებს დახედა და თავისქნევით განაგრძო გზა.

4. ციხეში.

პოლიციაში მისვლისთანავე მორიგემ ჩასწერა რომ კუზმა ჩუდინი დატუსაღებულია და ისიც, რომ გზაში მან მოსპო რაღაც ქალალდი, ამის შემდეგ კი ის გამოამწყვდიეს ცალკე პატარა ბნელ ოთახში.

— დაღალული იქნებით, ცოტახანს მოისვენეთ!—დაცინვით უთხრა პოლიციელმა კარების დაკეტის დროს.

— გმადლობთ, გმადლობთ, რადა სწუხდებით, ისედაც დიდი პატივის ცემა მაქვთ თქვენგან!—მიაძახა კუზმამ უკვე დაკეტილ კარებიდან და სკამზე ჩამოჯდა, თავის ახალ ბინას ათვალიერებდა.

— ეს კარგ ოთახში ჩამსვეს;

ნეტა ქირას რამდენს გადამახდევინებენ!—სთქვა თავისთვის, წამოდგა სკამიდან და ვიწრო ტახტზე გაგორდა.

ცოტა ხანს უკან კუზმა გაშმაგებით აბრახუნებდა კარებზე.

— რას აბრახუნებ, შე მოუსვენარო, რა დაგემართა?:—შეუტია მორიგემ:—ესეც ხომ სტამბა არ არის!..

— ამ ოთახში ყოფნა შეუძლებელია, ჩემოდენა ბაღლინჯოები ყოფილან, მომესივნენ და კინაღამ შემჭამეს! ბატონო მორიგევ, სხვა ოთახში გადამიყვანეთ, თუ შეიძლება!—გამოსძახა კუზმამ.

— ბატონო კუზმა, სიამოვნებით შევასრულებდი თქვენს თხოვნას, მაგრამ სხვა ოთახში ვერ გადაგიყვანთ, რადგან იქ თქვენზე უფრო დიდი ბაღლინჯოები არიან და მეშინიან არ შეგჭამონ აგეთი ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცი?-უპასუხა ხუმრობის გუნებაზე მყოფმა მორიგემ.

— გმადლობთ ქებისათვის. არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა ჩემდამი ასეთი ყურადღებისათვის... მარცხენა ბარკალი უკვე მომჭამეს ბაღლინჯოებმა... გადამიყვანეთ აქედან! მოითხოვა კუზმამ.

— ბატონო კუზმა, თუ არ დაწყნარდებით, ახლავე შემოგიგზავნით დამზელავს და ვუბრძანებ კარგი მასაჟი გაგიკეთოს!—უპასუხა ცოტათი გაჯავრებულმა მორიგემ.

კუზმას წინათაც ეგემა პოლიციის მასაჟი და, ცოტა არ იყოს, დაფიქრდა; კეთილგონიერება მოითხოვდა გაჩუმებულიყო.

— თქვენს მასაჟს ისევ ბაღლინჯოების მასაჟი მირჩევნია.., ჯალათებო!—გამოსძახა და ჩამოჯდა სკამზე,

— რაო? რა სთქვი?!—აღელვებული დაუყვირა მორიგემ.

— არაფერი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ-მეთქი!—უპასუხა კუზმამ და გაჩუმდა.

5. ბოქაულთან.

მეორე დღეს შუადღისას კუზმა წადუდგინეს ბოქაულს.

— შენი სახელი და გვარი?—ჰკითხა ბოქაულმა და თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა.

— კუზმა ჩუდინი.

— ბინა სადა გაქვს?

— ეკატერინეს არხზე, სახლი № 87.

— საიდან ხარ?

— კოლპინოდან.

— საზღვარ გარეთ ყოფილხარ?

— ვყოფილვარ...

— რა ქალაქებში იყავი?

— კრონშტადტში, ორანიენბაუმში, პეტროგრადში...

— შე სულელო, ეს ხომ რუსეთის ქალაქებია!—გაეცინა ბოქაულს:—მე საზღვარ-გარეთის ქალაქებს გეკითხები!

— სხვაგან არსად ვყოფილვარ.

— აქ რომ მოდიოდი, პროკლომაცია რად დახიე გზაში?

—მე არაფერი პროკლამაცია არ დამიხევია,

— მაშ ის რა იყო, გზაში რომ დახიე?

— წერილი იყო ერთი ქალისაგან.

— შეყვარებული იქნები?—ირონით ჰკითხა ბოქაულმა.

— ყურებამდე...

— სად სცხოვრობს ის ქალი?

— ცის ქვეშ. დედამიწაზე!

— რა ადგილას?

— ტრაქტირ „კოსტრომას“ პირდაპირ.

— სად არის ეგ „კოსტრომა“?

— სადაც ის ქალი სცხოვრობს. იმის ბინის პირდაპირ...

— შენ რას მიედ-მოედები, რატომ სწორედ არ მელაპარაკები!—შეუტია ბოქაულმა.

— მე სწორედ გელაპარაკებით...

ბოქაულმა გაჯავრებული შეხედა და დაუძახა:

— თანაშემწე!

მერე ისევ მიუბრუნდა!

— მე შენ გასწავლი სწორეთ ლაპარაკს!

— რას მიბრძანებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ?—გამოეჭიმა წინ ძალზე ჩასუქებული თანაშემწე.

— ერთი ეს თავხედი წაიყვანე თავის სახლში და კარგად გაჩხრიკე!—უბრძანა ბოქაულმა:—იქნება რამე უპოვო; მერე ისევ დაატუსაღე და ხვალ ამ დროს აქ მოიყვანე!

ბოქაულის თანაშემწემ ორი პოლიციელის თანხლებით გაჩხრიკა კუზმას ოთახი და ვერაფერი ნახა უბრალო ნება-დართულ წიგნების გარდა.

— ეს ხატი რადა გაქვს?—ჰკითხა თანანაშემწემ და უჩვენა აღმოსავლეთის კუთხეში უშველებელ მაცხოვრის ხატზე.

— მაშ რის მართმადილებელი ვარ, თუ სახლში ხატი არ მექნება?!—ვითომ გაიკვირვა კუზმამ:—თქვენ გგონიათ, რაკი ურიების სტამბაშინ ვმუშაობ, ხატი აღარ უნდა მქონდეს!..

რაკი პოლიციელებმა ვერაფერი უნახეს, დასწერეს ოქმი და უკან გამობრუნებას აპირებდნენ.

— თქვენო კეთილშობილებავ, — მიჰმართა ერთმა პოლიციელმა,—ხატის კიოტი რაღაც არა ჩვეულებრივია, დიდია...

კუზმას ფერი წაუვიდა.

ხატის უკან კიოტში დამალული პროკლამაციები და რამდენიმე აკრძალული ბროშურა აღმოაჩინეს.

ჯერ გასულელებული ბოქაულის თანაშემწე ახლა გამარჯვებული იჯდა და შესაფერ ოქმს სწერდა.

— ხედავთ, როგორ ყინულზე გამაცურა ამ პატა კაცმა! კარგია შევიხედე ხატის უკან...

— დიახ, მე რომ არ შემეხედა, ვერაფერს გაიგებდით,—უთხრა პროკლამაციების აღმომჩენმა პოლიციელმა.

— არა, მე ვაპირებდი იქ შეხედვას, მაგრამ შენ დამასწარი,—იცრუა თანაშემწემ.

— როგორ არა, ამათ უნდა შეეხედათ, მაგრამ შენ მოასწარი; მეც კი შევნიშნე, რომ ხა-

ტი რაღაც საეჭვო იყო!—დაუმატა მეორე პოლიციელმა, რათა დაამცირებია პირველის დამსახურება.

პირველმა წყენით გადახედა ორივეს და გული შურით აევსო.

ათიოდე წუთის განმავლობაში კუზმა მაგრად ჩაკეტეს თავის ბაღლინჯოებთან, ხოლო თანაშემწე ბოქაულს წარუდგა და ურცხვად სტყუოდა: როგორ გადააბრუნა მთელი ბინა და ვერაფერი ნახა, როგორ შეიტანა ეჭვი წმინდა ხატზე, და როგორ აღმოაჩინა მთელი დასტა პროკლამაციებისა...

გაჯავრებული პირველი პოლიციელი იდგა და ისმენდა მის სიცრუეს.

— როგორ ცრუის ეს უსინიდისო! გაიფიქრა მან:—პროკლამაციები მე აღმოვაჩინე და ეს კი ჯილდოს მიიღებს!..

6. ტიმოთეს სიხარული.

რამდენიმე თვის ციხეში ჯდომის შემდეგ კუზმა უფრო მეტი ენერგიით შეუდგა თავის საყვარელ საქმეს—მებრძოლთ რიგების მომზადებას—და დაუღალავად იღწვოდა საერთო საქმისთვის.

ის ეხლა სხვა სტამბაში მუშაობდა და წინანდებურად დაატარებდა მუშებში პროკლამაციებს მათ გამოსაფხიზლებლად.

— ნეტავი რა უნდა გააწყოს ან ქაღალდაბმა?—ჰკითხა ერთხელ მუშა ტიმოთემ.

— ეე, ჩემო კარგო, სწორედ ეს ქაღალდები გადმოაკოტრიალებენ თავის ოქროს ტახტიდან ჩვენს ნიკოლოზ მეორეს!—მიუგო კუზმამ:—დეე ცოტა ხანიც იმეფოს, ცოტა კიდევ გასტანჯოს ხალხი... გატანჯული ხალხი უფრო მალე ამხედრდება თავის მტანჯველის წინააღმდეგ...

— ყველა ეს კარგია, ჩემო კუზმა, მაგრამ რომ გაწვალებენ—ხან ციხეში, ხან პოლიციაში...

— ეგ არაფერი... მაშ ისე როგორ უნდა იბრძოლო მომავალისათვის, რომ არც ციხის კარი ნახო და არც პოლიციის? უკანასკნელად რომ პოლიციაში ვიყავი დაჭერილი, ჩემს სარდაფში ორი ზორბა პოლიციელი შემოვიდა, ერთი—ერთ კუთხეში გაჩერდა, მეორე—მეორე კუთხეში; ერთი მკრავდა ხელს—მეორისაკენ მაგდებდა, მეორე—პირველისაკენ. ასე მაბურთავებდენ ვიდრე ცნობა დამეკარგებოდა და დავეცემოდი...

— ვითომ რაო, აგრე რად გიშვრებოდნენ?—ჰკითხა ტიმოთემ.

— გამოტყდი, სად არის თქვენი კონსპირატიული ბინაო...

— მერე, არ გამოტყდი?

— გამოტეხა როგორ იქნება! განა რამდენი ჯოხიც გიჩვენონ, იმდენი უნდა გამოტყდე?! მაშინ ხომ დაიღუპა საერთო საქმე!

— მერე, რას ეუბნებოდი, როცა გაწვალებდნენ?

— მე არაფერი კონსპირატიული ბინა არ ვიცი მეთქი... თავის დღეში პოლიციელებს და ჟანდარმებს სწორად არ უნდა. ელაპარაკო... აი, ახლა შენ იცი ჩემი ბინა, სადაც დროგამოშვებით თავს იყრიან და მსჯელობენ ჩვენი ამხანაგები; შენ იცი, რასაც იქ ვამბობთ, რის—

— არასოდეს!—მტკიცედ წამოიძახა ტიმოთემ:—რომ მომკლან, არაფერს ვეტყვი...

— ყოჩაღ ტიმოთე, აგრე უნდა!—უთხრა კუზმამ და ხელში მისცა მთელი ბღუჯა პროკლამაციებისა;—ეს პროკლამაციები წაიღე და გაავრცელე შენს ამხანაგებში! ემსახურე საერთო საქმეს!..

ტიმოთემ გამოართვა პროკლამაციები და უბეში შეინახა.

— დიდი სიამოვნებით გავავრცელებ ყველა ამ პროკლამაციებს ისეთ ხალხში, რომელიც საჭიროებს ამას!—სთქვა მან.

— დღეს ესენი გაავრცელე, და ხვალ კი ჩემთან მოდი. მშვიდობით!—უთხრა კუზმამ და გაშორდა.

7. თავისუფლება.

დადგა 1905 წელი.

ქარხანა-ფაბრიკებში დაიწყო გაფიცვები.

გაცხარებული მუშაობს გაფიცვის კომიტეტი, რომლის წყალობითაც გაფიცვები თანდათან ფართოვდება...

პატარა ქარხნებში დაწყებულ გაფიცვებს გამოეხმაურენ, დიდი ქარხნებიც—ობუხოვის, პუტილოვის, ბალტიის და სხვანი.

გაფიცვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

ორასი ათასი მუშა გამოიფინა უზარმაზარი ქალაქის ქუჩებში.

დაფაცურდა შეშინებული მთავრობა.

— **არიქა, ვიღუპებით!—დაიძახა მან და** ფეხზე დააყენა მთელი პოლიცია, ჟანდარმერია და ყაზახობა.

აქა-იქ ხდება შეტაკებები მუშებსა და პოლიცია-ყაზახებს შორის.

უკვე დაიღვარა მუშათა სისხლი...

თანდათან ძლიერდება რევოლიუციის ქარი.

და ამ საშინელ ქარიშხალის დროს უშიშრად, დაურიდებლად დარბის ქარხნიდან ქარხანაში, ცენტრიდან განაპირას, განაპირადან ცენტრში ჩვენი ნაცნობი კუზმა ჩუდინი, არშინ-ნახევარი სიმაღლის კაცუნა; არიგებს ახალ-ახალ პროკლამაციებს და მოუწოდებს მუშებს—არ დაჰყარონ იარაღი სრულ გამარჯვებამდე!.

8. დამარცხებულნი.

გავიდა დრო.

პროლეტარიატი სახიფათო მდგომარეობაშია.

მებრძოლთ რიგები თანდათან სუსტდება.

რეაქცია კი თანდათან იზრდება, მძლავრობს, საშინელ სიმკაცრეს იჩენს...

აშმორებულ-აყროლებულ ციხეები გაივსო მოწინავე მუშებით, რევოლიუცინერებით.

დამარცხდა მუშათა კლასი.

გაიმარჯვა შავ-ბნელმა რეაქციამ.

გაისმა დამარცხებულთა კვნესა-გოდება...

მას უერთდება გამარჯვებულთა გესლიანი ხითხითი, სიცილი.

ქალაქის განაპირისაკენ მიიმართება რამდენიმე ჯაგვი, რომელთაც მიაქვთ უსიცოცხლო, სისხლში მოსვრილი ადამიანთა გვამები; მიაქვთ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ.

ქარხნის გუგუნის ცოცხალ რადიომ
ამიწყო შრომის ჩანგის სიმები
და სანუგეშო მომავლის სიომ
მომფინა დილის ნორჩი სხივები.

— —

დღე გამითენა დიდ ოქტომბრისა,
გაშუქებული, გაჩაღებული,
ამიფრიალა დროშა ძმობისა,
თავისუფალი, გალაღებული.

— —

წარსულისაგან იმედ-გატეხილს
ბებერი გული გამიყმაწვილა,
გადამარჩინა საშიშ ქარტეხილს
და ჩლუნგი ფიქრი გამიმიხვალა.

— —

ვარდი დამზრალი, გაფითრებული
ამიყვავილა, მამინახფერა,
დამიცხრო ღელვა აზვირთებული,
ამამეტყველა და ამამღერა.

— —

ამივსო ნების ნატვრა-სურვილი,
ამინთო შვების ჩამქრალი კერა,
აღმიძრა მტერთან ბრძოლის წყურვილი,
ჩაქუჩ-ნამგალი გამომიკვერა.

— —

დაჰკათ, მაშვრალნო, დაჰკათ მტარვალებს,
გასწით უშიშრად, გასწით, ნუ კრთებით,
და სადამდინაც მზე სტყორცნის ალებს
დაჰფარეთ მიწა წითელი ფრთებით!

მუშა **გიგო ხეჩუაშვილი.**

ეს გვამები უსწორო ბრძოლაში დამარცხებულ მუშათა გვამებია. ისინი დაეცნენ გმირულად, მამაცურად, თავის დაუზოგველად. სიცოცხლე შესწირეს საერთო საქმეს. მხოლოდ გადარჩენილ ამხანაგებს კი ანდერძად დაუტოვეს მტერზე შურის-ძიება!..

რეაქცია გამარჯვებას ღღესასწაულობს.

დამარცხებული პროლეტარიატი კი რევანშისთვის ემზადება.

ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!

— —

ჩვენი ნაცნობი კუზმა ჩუდინი?

რა იქნა?

კუზმა ჩუდინიც იქ არის, იმ მკვიდრთა შორის, რომელნიც ჯაგვებით მიაქვთ ქალაქ გარედ დასაფლავად.

მრავალი წლების განმავლობაში მებრძოლ ხმლით გაუჩეხა თავი ქერა პოლიციელმა ერთი დაკერით სიცოცხლეს გამოასალმა პატარა, მაგრამ დიდი საქმის მოქმედი კუზმ ჩუდინი!..

მუშა **ნიკო ახლამაზაშვილი.**

ვანო სარაჯიშვილი

(მოგონებები)

ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებამ მეტად დაამწუხრა მისი ნაცნობ-მეგობრები და მთელი ქართველი ხალხი.

1903 წელსს ის პირველათ გამოვიდა თბილისის საოპერო თეატრში ჰერცოგის პასუხისმგებელ პარტიაში ოპერა „რიგოლეტო"-ში. ვანო სარაჯიშვილი მაშინ ახალგაზრდა იყო და მას თბილისში არავინ იცნობდა; მაგრამ ამ ყველასათვის უცნობმა ახალგაზრდამ პირველივე გამოსვლის შემდეგ ერთბაშათ მიიპყრო არა მარტო ქართველი საზოგადოების ფართო მასების ყურადღება, არამედ მან სიმპატია დაიმსახურა თბილისის მუსიკალურ და თეატრალურ წრეებში.

ვ. სარაჯიშვილის გამოსვლას საოპერო სცენაზე წინ არ უძღოდა რეკლამა. ყველაფერი ეს უეცრათ მოხდა. იმ დროს დებიუტის მიღება უსახელო მომღერლისათვის მეტათ ძნელი იყო და თვითონ ვანოც გაკვირვებული იყო ამით. მას არ სჯეროდა, რომ ის მართლა დიდ სცენაზე მღეროდა, რომ ის იწყებდა ახალ ხანას თავის ცხოვრებაში.

მაგრამ სკეპტიკოსები დამარცხდენ. მახსოვს ტაშის გრიალი და ასეთი მიღებით გახარებული და აღელვებული ვანო. მახსოვს, მეორეთ მას დებიუტი მისცეს „ტრავიატა"-ში.

ეს იყო დღესასწაული, პირველი დიდი დღესასწაული ახალგაზრდა ვანოს ცხოვრებაში— მას წინ ეშლებოდა ნათელი პერსპექტივები. მაგრამ არა თბილისში.

ვ. სარაჯიშვილმა თავისი პროფესიონალური კერიერა დაიწყო პეტერბურგში, ახლა ლენინგრადში, გვიდის იტალიანურ ოპერაში.

მაგონდება თუ როგორ იზრდებოდა მისი ნიჭი, სახელი და პატივისცემა საზოგადოებაში.

მაგრამ შემდეგ რაღა მოხდა? დაიწყო იჭვები, თავის თავით უკმაყოფილება. ძნელია ამის მოგონება. მომღერალის ნათელი ტალანტი, თითქოს ჩაქრა, ბურუსში გაეხვია. ვანო სარაჯიშვილი რაღაც უიმედობამ მოიცვა, ის სერიოზულათ აღარ ეპყრობოდა თავის საქმეს მას აღარ ჰქონდა საკუთარი თავის რწმენა. მაგრამ ამ სამწუხარო ხანაში ხანდახან მაინც გამოანათებდა მომავლის იმედი და რწმენა თავის ნიჭში და ეს ხდებოდა ყოველთვის ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, უმთავრესათ, საკონცერტო ესტრადებზე.

მაგრამ ამ მისწრაფებას შემოქმედებისაკენ სცვლიდენ ისევ ეჭვები, ისევ უიმედობა, რომელიც ხშირათ სასოწარკვეთილებამდი მიდიოდა.

პეტერბრგის მღელვარე, უმაღლეს ცდუნებებით სავსე ცხოვრების კალეიდოსკოპში თანდათან ქვევით ეშვებოდა მისი ვარსკვლავი.

საბედნიეროთ ვანო სარაჯიშვილი გაემგზავრა იტალიაში, სადაც სერიოზულათ მოკიდა ხელი მაცადინეობას. როგორი სასიხარულო, იმედებით აღსავსე ცნობები მოდიოდა იტალიიდან მისი მაცადინეობის შესახებ, როგორ ველოდით ჩვენ მის დაბრუნებას სამშობლოში.

აი ჩამოვიდა კიდეც. ის მიწვეულია თბილისის საოპერო დასის შემადგენლობაში. იტალიაში მაცადინეობამ სერიოზული ნაყოფი გამოიღო: მისი ხმა საუცხოოთ ბგერდა, ვანო სერიოზულათ ეპყრობოდა თავის საქმეს და განაგრძობდა თავის თავზე მუშაობას.

თითქოს, დაბრუნდენ მისი სცენური კარიერის პირველი ბედნიერი დღეები. მაგრამ, სამწუხაროთ, ხანგრძლივი არ იყო იმ ხალხის სიხარული, რომელებსაც უყვარდად ვანო და აფასებდენ მის ნიჭს.

მართალია შეუმჩნევლათ, მაგრამ მის მოღვაწეობაში მაინც ცვლილება მოხდა. მე ვეღარ ვცნობდი მის ხმას, მისი ხმის მომხიბლავი და ხავერდოვანი ტემბრი შეიცვალა, დაჭკნა. ვანო გახდა საოპერო დასის ჩვეულებრივი, უბრალო მსახიობათ.

რა მოხდა? ვინ შესცვალა ის? ვანო მოიცვა გულგატეხილობამ, მასში ისევ დაისადგურა იჭვებმა, რომლნიც თანდათან იზრდებოდენ, ვანო დაეცა სულით, მას დაეკარგა თავისი ნიჭის რწმენა.

იგრიალა რევოლიუციამ და მასთან ერთად გადატრიალებამ. როცა შესაძლებელი გახდა საოპერო მუშაობის განახლება, ვ. სარაჯიშვილმაც გაანახლა თავისი მონაწილეობა ოპერებში.

და აქ მე ვიწამე სასწაული. დიახ; სწორეთ სასწაული მოხდა. ვანო სარაჯიშვილში ისევ ცვლილება მოხდა. ვანოს ძლიერმა ნიჭმა ისევ ბრწყინვალეთ გამოანათა, ამას გარდა ვანოს განვლილი ჰქონდა კიდევ სათეატრო მომზადების სკოლა.

უბრალო მომღერალი გაქრა და მის ადგილზე გაჩნდა საუცხოო ხმის პატრონი დიდი მომღერალი და დიდი მსახიობი-მხატვარი.

თითქმის ერთდაიმავე დროს მოხდა ვანო სარაჯიშვილის ნიჭის მკვდრეთით აღდგომა და ქართული ეროვნული ოპერებისათვის მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭება.

ზაქარია ფალიაშვილმა იმ დროს დაასრულა თავისი პირველი ნაციონალური ოპერა „აბესალომ და ეთერი", დ. არაყიშვილმა შექმნა „თქმულება შოთა რუსთაველზე", და ბოლოს გაჩნდა ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი". ყველა ამ ოპერებში ტენორის მთავარ პარტიებს ასრულებდა განსვენებული ვანო.

ვანო სარაჯიშვილმა, თითქოს ხელახლა მონახა თავისი თავი მშობლიურ შემოქმედებაში მაგრამ განა იტალიანურ და რუსულ ოპერებში მის შესრულებას აკლდა მხატვრული მხარეები? განა შეიძლება დავიწყება დონხოზეს, გერმანის, რაულის, ლოენგრინის, ვლადიმერის, რადამესის მხატვრული სახეების, რომელიც ვანო სარაჯიშვილმა შექმნა? განა შეიძლება დავივიწყოთ მის მიერ ნადირის პარტიის შესრულება ოპერა „მარგალიტის მაძიებელნი"-ში? და განა მარტო ამ პარტიებში იყო ის კარგი?

ვანო სარაჯიშვილს ჰქონდა შესრულების ინდივიდუალური მხარე, რომელიც მას იშვიათ მომღერლათ ხდიდა საოპერო და საკონცერტო შემსრულებელთა შემადგენლობაში. ეს იყო მისი არტისტიულობა, მისწრაფება მხატვრულ სინამდვილისაკენ, მისი სრული გარდაქმნა სცენაზე და მისი ღრმა, ანკარა ინტუიცია ხმის დამთავრებულ ტემბრთან და განსაკუთრებულ ინდივიდუალობასთან ერთად.

ხელოვნებამ საერთოდ და, კერძოთ, ქართულმა ეროვნულმა ხელოვნებამ დაკარგა უდიდესი არტისტი.

ის იყო ნამდვილი ხალხური მომღერალი და ეროვნული სიამაყე. მისი სიცოცხლე შეწყდა სწორეთ იმ დროს, როდესაც მისი მხატვრული მოღვაწეობა აყვავების გზაზე იდგა.

პ. ბებუთოვი.

ბატონი და მოჯამაგირე

მოქმედნი პირნი:

1. **მათე გოროზაშვილი**, შეძლებული ფშაველი.

მელანია—მისი ცოლი.

მზექალა—მათეს ქალიშვილი 17-18 წ.

პაპუა—სოფლელი ბიჭი.

ზურია—მოჯამაგირე.

ვასო-17—18 წლის ყმაწვილი, ფშაველი.

სოხო—ჩაფრების ურიადნიკი.

წუნია—ჩაფარი.

ლელო—თუში 19-20 წლისა.

ვანო—12 წლისა, ფშაველი.

სოფლის ხალხი. მოქმედება სწარმოებს შირაქში.

მოქმედება პირველი.

სცენა ქვითკირის ოთახს წარმოადგენს. კედლებზედ ფარდაგებია გაკრული. ტახტზე გუმბრული ნაბადია გაშლილი და ზედ მათე ზის, შავი ლასტიკის ახალუხი აცვია და ზედ ფშაური შავი შალის ჩოხა. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი არტყია.

მათე. დედაკაცო, ჰა დედაკაცო! (მელანია შემოდის).

მელანია. რა გინდა, კაცო?

მათე. მოდი, ვსთქვათ რამე ჩვენს ბეჩაობაზედ. (მელანია მიდის და ტახტზედ ახლო უჯდება).

მელანია. ბეჩავები რადა ვართ? სუ კაცო, ღმერთს არაფერი აწყენინო. ბეჩავი ის იყოს, ვინც არის. განა რამდენი დესეტინა გვაქვს მოხნული?

მათე. ოცდაათი პურად და ათი ქერად. ორი გუთანი გვება. ერთი გუთანი იმდღესვე გავუშვით, მეორე კი—გუშინლა. ნეტავი მოსავალი მოვიდეს, თორემ პური კი არ დაგვაკლდება.

მელანია. წისქვილის მინდს რაღას იღებთ?

მათე. წმინდა პურზე—ათ გირვანქას; სიმინდსა და ქერზე თექვსმეტ-თექვსმეტს. კიდევაც გვინდა მოვუმატოთ, მაგრამ არ ვიცი, კი დაგვრთვენ ნებას, თუ არა. (შემოდის ზურია. ფარაჯა აცვია. ფარაჯის შიგნით შავი ფართლის ბლუზა-შალვარი. ოცდაოთხის-ოცდახუთის წლის ვაჭკაცია, მოხდენილი, მშვიდი შეხედულობისა).

მათე. რად დაიგვიანე, ზურიავ, ეგ რა ფერი გაძევს? ფათერაკი ხომ არა გქონდა რა?

ზურია გითხრა, როგორ გითხრა,—არ გითხრა და—არც ის იქნება.

მელანია. სანამ არ იტყვი? სთქვი, რა ქვა ჩაგედვა მაგ პირში? მალე სთქვი, რამოხდა?

ზურია. (ყოყმანით). ის მოხდა, რომ ღმერთმა ქვეყანაზედ ავი კაცი გაათავოს. წუხელ ყაჩაღები დამეცნენ. ყევარი ხარი და კამეჩი წაგვართვეს და მეც კინაღამ მომკლეს.

მათე (აჯავრებს): წამართვეს. მეც კინაღამ მომკლეს... ზურიაუ თოფი რაღა ეშმაკისთვის გინდოდა, რომ ერთს მაინც ბეჭები არ გაუხვრიტე?

ზურია. თოფი განა არა დავუსხლიტე, მაგრამ არ გამივარდა. იმათ მეტი აღარ დამა- მეც კინაღამ მომკლეს. კარგ-კარგი სილა და მუშტებიც არ დამაკლეს.

მათე (აჯავრებს) „მეც კინაღამ მომკლეს. კარგ-კარგი სილა და მუშტებიც არ დამაკლეს".

მელანია. ნეტავი იმ გასათავებლებს შენც გაეთავე, რომ გულს არ გვისიებდე.

მათე. (მელანიას). დაიცა, ადამიანო, გაათავოს. (ზურიას). მერე რაღა, სილით და მუშტით რომ გიმასპინძლეს?

ზურია. მერე ისა, რომ უკან ხელები გამიკრეს. ულელი ხარი და ულელი კამბეჩი გაარჩიეს, გარეკეს და მეც თან წამიყვანეს. (კოტაოდენი მანძილი რომ გავიარეთ, მე ხარკამეჩს გამაშორეს, სხვა მხრისკენ მიმაბრუნეს. ხუთიექვს ვერსამდე რომ გავიარეთ, დადგნენ და მეც დამაყენეს. ,,ეგ არის, ღმერთი გამიწყრა, თუ მომკლვენო, ვიფიქრე. იმათ ხელები გამიხსნეს. მითხრეს: ,,უნდა მოგვეკალი, რომ მოჯამაგირე არ ჰყოფილიყავი,—მაგრამ ეხლა კი გაგიშვებთ. გასწი, წადი. ჰყივილ-ყვირილი კი არა დაიწყო რა, თორემ სად ჩაგვიძვრებით: ვაი შენს ტყავსო". თვითონ ცხენებს მათრახები შემოჰკრეს და წავიდნენ. ჩემი თოფი ხანჯალი და სასწრაფოც წაიღეს.

მათე. ზურიავ! მაშ მართლა, თოფი დაუსხლიტე, მართლა გასწირე თავი, დავიჯერო?

ზურია. თუნდ ნუ დაიჯერებ, და თოფი კი მართლა დავუსხლიტე, მაგრამ მომატყუა, არ გამივარდა.

მათე. აი შენმა სიცოცხლემ! რა მიჭქონდათ ან რა მიჰყვანდათ შენი, რად შეიწუხებდი თავს, შე ძაღლის ნაშენო?

ზურია. რად მეძახი, მათე, ძაღლის ნაშენს? ცოდვა ვარ. მეც შენსავით დედმამა მყვანდა. მეც შენსავით მემძიმება ისინი, მეც შენსავით ადამიანი ვარ.

მათე. აი მეხი კი დაგეცა შენცა და შენს ადამიანობასაც!

ზურია. მეხი მაშინ დამეცეს. თუ გატყუებდე. თორემ დღესნამდე გზნა გაგებული არა გაქვს ჩემი სიმართლე, სიმტყუვნე? ოთხი წელიწადია. რაც შენ გემსახურები. აბა ერთი მიჩვენე, რა გამიფუჭებია, რა დამიკარგნია შენთვის?

მათე. ხმა გაიწყვიტე!

ზურია ხმა რად გავიწყვიტო, როცა გული შენთან არაფერში მეცინის; როცა ერთგულობის მეტი მე შენთან, შენს ჯალაბობასა და და ოჯახთან არაფერი მიმიძღვის?

მელანია. კაი ერთგულობა გაგვიწიე; ღმერთმა ისე შენ გიერთგულოს.

მათე (მელანიას) მე უნდა „პოსტში" ჩაფრებს ვაცნობო, ხალხს შევატყობინო, რომ მდევარი გამოვიდეს. მანამდის ამ ბიჭს ნუ გააცდენ, გააკეთებინე რამე.

მელანია. (დგება, ულოდ ნაჭონი ღარძლა მე მაქვს, ურის წინ და ეუბნება (თოკი მაინც, დაგრიხე, ბიჭო, სანამდის აქა ხარ (თითონ გადის) **ზურია** (მარტოა) გუშინ სამხრობიდამ პური აღარ მიჭამნია. ეხლა მეორე სამხრობაა. განა მაგათ კი უნდა გაიგონ, რომ მეც ადამიანი ვარ და პური მეც მომშივდება! აი ობლის სიცოცხლე და ისიც მოჯამაგირისა?! დღე—სულ საქმე და საქმე. ღამე—უძილობა. თანაც ამდენი ბიაბრუვება და შეურაცხება!— ვინ უნდა აიტანოს! ახ, შე დალოცვილო ღმერთო. ტანჯვისთვის რად გამაჩინე?

მზექალა. (შემოდის. ტაბაკით პურ ხაჭო შემოაქვს. ზურიას წინ უდგამს და ეუბნება:) აჰა, პურითა გშიან, შე ბეჩავო, ჰჭამე.

ზურია. შენ რომ არ მიყვარდე, ამდენს ხანს აქ რა მინდოდა, მეც ჩემს გზას გავიდებდი.

მზექალა. ფრთხილად იუბენ. არავინ შემოვიდეს.

ზურია, ახ, შენ ჩემო თვალსინათლევ, ჩემო წუთისოფელო! შენ რომ არ მიყვარდე, მე მაღედვე თავი უნდა მომეკლა.

მზექალა. თავი რად უნდა მოგეკლა? ნუ გეჯავრიან: მე შენის მეტი არავის გაჰყვები.

ზურია. (ხელებს დაიჭერს. უნდა მოეხვიოს. მაგრამ მალე ხელს უშვებს) მზექალავ! შენ ანგელოზი ხარ მე რა შენი ღირსი ვარ? სახლი და კარი მე არა მაქვს, თვისი და ტომი მე არა მყავს. საით სადა ვარ, გადაკარგებული! მგონია ნასახლარიც აღარ არის ჩვენის. აბა, რა შენი ბადალი ვარ? მე რად გამომყვები მშიერსა და ტიტველს! შენ ვინ არ შეგირთავს, რა გაკლია! სილამაზე არა გაქვს, თუ მზითევი! ვინ არ ჩასთვლის თავს ბედნიერად, ვინც შენი ღირსი გახდება?

მზექალა. მე შენის მეტი არავინ მინდა. ღარიბი ხარ, მაგრამ მდიდრებს შენ მირჩევნიხარ. მოჯამაგირე ხარ, მაგრამ ბატონებს ჩემთვის შენ ჰჯობიხარ.

ზურია. ოთხი წელიწადია, რაც თქვენთან ვმოჯამაგირეობ. მე ვფიქრობდი ნამსახურში მამაშენისად ზოგი პური გამომერთვა, ზოგიც საქონელი. თუ საჭირო იქნებოდა, კიდევაც ვემსახურებოდი. როცა მთელს გავინაღდებდი, მოგიტაცებდი, წაგიყვანდი ჩვენს სოფელსა. მამაჩემის ნასახლარში ქოხს ჩავიფარებდით და დავიწყებდით ჩვენთვის ცხოვრებას. მართალია პირველში გაგვიჭირდებოდა ცხოვრება, და ვიჩაგრებოდით, მაგრამ მერე თანდათან წელ მოვიბამდით. ახ, რა უიღბლო ვარ! წუხელ ყაჩაღებმა ხარ-კამეჩი წამართვეს და ამით მამა შენის პირში ჩამაგდეს. მაგან ნეტავი აღარ ფერი გამომართოს, თორემ მოცემით აბა რა მომცემს. ჩაიშალა ჩემი განზრახვა! შენ ვერ გთმობ რომ წავსულიყავი სადმე მაინც აქ დამ.

მზექალა. უჰ, რა ცუდი საქმე მოგვსლ ავი კაცია მამაჩემი! მაგნაირს რასმე კაცს აპატივებს და ხარკამეჩის წასხმევინება იქ სრულიადაც შენ დაგაბრალოს. ჭირივით მოგვეკიდება და არ ვიცი, როგორ გადარჩ

ზურია. ჩემი სიცოცხლე ისე მიდის, რ მე დიდად უიღბლო და უდოვლათო კაცი და ვიყო. მე შენს ღირსს ვინ გაიხდის! შენ ხარ და მე საიდამ უნდა შამოგწვდე? წო სიზმარიც ისეთი ვნახე, რომ მე, შეიძლება დეც მოკვდე და ჩვენმა სიყვარულმა სი რივით ჩაიაროს (მოხვევნა უნდა, მაგრამ ი იკავებს, მხოლოდ ჩიქილის ქოჩზედ ჰკოცნ

მზექალა. კაცი, რაზედაც ცხადად ჰფ რობს, სიზმარშიაც იმასა ჰხედავს. ღმერ

დაგიხსნას ყოველი უბედურობიდამ და სიზმარიც კარგად აგიხდინოს. (გარედამ ისმის მაყრიონის ღრეობა, მიიმღერიან:

„უთხრა ადგილის დედამა
ეზო-კარის ანგელოზსა:
„ეგებ კარგა მოუარო
მაგ ჩემს საყმო, სახელისა.“
ნეფემ ხელი ჩამოუსვა
დედოფლისა საყელოსა.
ბალღი არის, დათირდება (1)
ეგებ ვაშლებ დახელოსა.
ნეფეო, ღმერთმა შენ მოგცეს
ბედი და ბედნიერება!
ეგრეე, შენ, მეფის ჯალაბო,
ოჯახში გემრიელობა.

ზურია. ეს რა სიმღერა მოდის, მზექალავ, არა ამბავია?

მზექალა. ტურათ ლელამ ჯვარი დაიწერა და ახლა მიჰყავსთ.

ზურია. მექორწილენი ყოფილან; ნეტავი იმათ! ერთმანეთი დახვლეს და სიკვდილის მეტი ერთურთს ვერც არა განაშორებს! რა არის ჩემი სიცოცხლე? რად გავჩდი? მარტო იმისთვის, რომ სულ მოჯამაგირედ ვყოფილვიყავი და სხვისა თვალწარბის შემყურეს, მთელს ჩემს სიცოცხლეში ნათელი დღე არ მენახნა? მიყვარხარ, ჩემო სიხარულო, მიყვარხარ უსამზღვროდ, მაგრამ შენი ღირსი კი მე საიდამ გავხვდები? თორემ რა ბედნიერი ვიქნებოდი რომ როდესმე ჩემს გვერდით ჯარზედ მჯდომარე მენახვე დედუფლათ მორთული; ახ, გენაცვალე! რა ტურფა, რა ლამაზი ხარ! (ორიე ხელით მოხვევნა უნდა, მაგრამ თავს იმაგრებს).

მზექალა. ნუ გეშინიან, განა ტყვე ხარ? მაშაჩემს თვითონ მე გამოუცხადებ ჩემს სიყვარულს და ვთხოვ ნება დამრთოს შენ გამოგ-ყვე.

ზურია. შენ, ჩემო კარგო, მამა კარგა ვერ გიცვნია. სიძედ ის თავისსავე მსგავსს მდიდარს ეძებს. ნათესავად, მოკეთედ, ძმობილ-მეგობრად, მეპურმარილედ სულ გაბერილებისკენ უპერია თვალი. ეგ დიადად ითაკილებს ჩემთვის ქალის მოცემას. ეტყვი და—საქმეს სულ წაახდენ. ახლა ეპვი არავისა აქვს, კიდევ ვახერხებთ ერთმანეთის ნახვას. მაგან რომ ჩვენი სიყვარული გაიგოს, სულ თავიდამ მომიშორებს. იქნება ვისმეს კიდეც მომაკვლევინოს. მაგის და მაგის ამქრებს არც ის გაუჭირდებათ: ღმერთიც თავის ჭკვაზედ ჰყავსთ მაგათ და ადამიანიც. (შემოდის მელანია).

მელანია (მზექალა) აქ რას აკეთებ?

მზექალა ზურიას პური მოვუტანე, ჰშიოდა... სხვას რას უნდა ვაკეთებდე?

მელანია. მაგისად პური კი არა, სიკვდილი უნდა მოგეტანა,

მზექალა. რად ამბობ დედავ, ეგრე? იქნება ეგ ბეჩავი ჩვენთან არასა ჭტყუის?

მელანია შენ მაგის „ადუკატად“ არვინ გაყენებს. წამოეთრიე, ქსელი ქსოვე. (გადიან ამ დროს ჩაფრები ერთი კარებიდამ შემოდიან და მეორიდამ გადიან. გარეთ ხალხის ჩორჩოლი ისმის: „წავიდეთ!“ შემოდის მათე და მას მოსდევს ჩაფრების ურიადნიკი).

მათე. (ზურიას) აქამდის პური ვერა სჭამე, შე არ გასაძღომო? აბა, ჩქარა? პური და ღარძლა წაიღე! მალე ცხენი მომგვარე; წამოგვყევი და გვიჩვენე ის ადგილი, სად დაგეცნენ და საიდამ გაირეკეს ხარკამეჩები.

(ფარდა.)

მოქმედება მე-II

იგივე ოთხი. ტახტზე ზის მზექალა და ფარტენას ასთავს. მათე მხართეძოზეა წამოწოლილი ტახტზე. შემოდის მელანია. გარეთ ბნელა.

მელანია. ქალო, რასა სჩადი? სამშაბათ საღამოს სთქვა ვის გაუგონია? ამ საღამობით მხოლოდ ხიფის ამოხსნა შეიძლება. ჩეჩვა, ძახვა, სთვა, კერვა და სხვა რამ საქმობა აკრძალულია. (მათეს). კაცო, შენ რამღა შეგკრა? რატომ შენ მაინც არ უთხარ?

მათე. მეც სულ გადამვიწყებია თავის ფიქრებში გართულს.

მზექალა. დღე საქმია და საღამოზე რატომ აღარ აკეთებენ? რას უშლის?

მელანია. ემანდ რომ ცეცხლისგან ჩაბუგვილ კაბა-ფესტამალანი გქონან, ეგ სულ ამ საღამოს მუშაობის ბრალია.

მათე. (მზექალას). აიღე ეგა და ის აკეთე, რასაც დედა გეუბნება. (მზექალა ტარფარტენას ინახავს. ნაძახი, „ჩაკიწლული“ საჩოხე მოაქვს და თხორად ხსნის)

მელანია. რა ხანია, კაცო, რაც ხარ-კამეჩები წაგვისხეს?

მათე. მესამე თვე გათავდა. (შემოდის ვასო 17—18 წლის ბიჭი.)

ვასო. ზურია არ მოსულა

მათე. არა... და არ ვიცი, რატომ დააგვიანდა. შენ დღეს ის ხომ არსად დაგვინახია.

ვასო. წუხელ მეც მინდორში მყვანდა საქონელი დილას ადრე ვნახე ზურია ცხენებს დაეძებდა. (მათე და მელანია ორნივ ფეხზედ აიჭრებიან).

მათე. ნეტა სულ დაჰკარგავდა ცხენებს?

ვასო. „ორი ცხენი მაკლია, ახლო მახლო ადგილებში სულ მოვიარე, მაგრამ ვერსად დავხელეო“,—სთქვა ზურიამ. „თუ აღარსად გამოჩდენ, არ ვიცი, მათეს რაღა პირით ვეჩვენო თავს თუ მაინც მოვიკლავო.

მელანია. ეგლა გვაკლდა! ჯერ ყაჩაღებმა დაგვლუპეს და ახლა ეგ ცხენებიც რომ დაპარულები გამოდგეს, შენ მტერს ჩვენი საქმე იქნება ეგ რაღა გადავიკიდეთ, ეგ დამეხილი?

მათე. (ვასოს) ეგ რაღა გვითხარ, შე ოჯახქორო! ლამის ბოლმისგან გული გამისქდეს (მუხლებზედ ხელებს დაიკრავს) ვაი შენს მათეს!

მზექალა. (თავისთვის) ახ, რა ცუდი საქმეა. (ვასოს) შენ რას ფიქრობს, ზურია კი არის ჩვენი მოღალატე?

ვასო. ეგ თქვენი მოღალატე არ არის, როგორც მე არა ვარ თქვენი მოღალატე. მაგრამ ეგ ფათერაკები რადღა ემართება მაგ უბედურს—საკვირველია!.

მათე. ეგ მე უფრო კარგად ვიცი. ვასო, ამ საუბარს თავი დავანებოთ. შენ, ბიძაილას, ერთი სამსახური უნდა გამიწიო. დღეს უგუნებოდა ვარ არსად წასვლის თავი არა მაქს. წადი ზურია, იპოვნე, ცხენებზე შასხედით და მინდვრები მოიარეთ, ეგები იმ ცხენებს სადმე შეჰხვდეთ. მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ. დანარჩენი ცხენები კი აქ წამოასხმევინეთ ვისმეს.

ვასო. ძალიან პატიოსანი. მე წავალ და ძებნას ვუშველი

მათე. (მელანიას) რა ერთი ხანია, რაც ზურია ჩვენთან მოჯამაგირეობს.

მელანია. ოთხი წელიწადია.

მათე. პირველ წელიწადს როგორ გვყვანდა მორიგებული და რა გვაქვს მიცემული?

მელანია. ერთი დესეტინა პური გვქონდა ნათქვამი, ერთიც ქერი. ასორმოცდაათ ფუთს მისაცემსა ვართ. ასს ფუთს წმინდა პურს, ორმოცდაათს ფუთს ქერსა.

მათე. (**ლობიოს ჩადის**) ასი ფუთი, ასი მანეთი; ორმოცდაათი ფუთი ქერი—ოცდათი მანეთი. სულ: ცამეტი თუმანი. მეორე წელს რაღა უნდა მიგვეცა?

მელანია. ორი დესეტინა პური გვახნევინა და ორასი ფუთი პური მოუვიდა.

მათე. მამაძაღლს იღბალი კი აქვს პურისა! (ლობიოს ჩადის) ორასი ფუთი ხორბალი, ორასი მანეთი. იქაც ცამეტი თუმანი. სულ: ოცდაცამეტი თუმანი. მესამე წელს რაღა უნდა მიგვეცა?

მელანია. უღელი ხარი.

მათე. უღელი ხარი—ათი თუმანი. იქაც ოცდაცამეტი თუმანი—სულ:ორმოცდა სამი თუმანი. წელს რაღა გვაქვს მორიგება?

მემიათელანა. წელს—ორი ფურ-ზაქი.

მათე. ეგიც შენი ათი თუმანი. სულ: ორმოცდაცამეტი თუმანი. (**თავისთვის**) კარგია, თუ მიიღო.

მელანია. სულ რამდენი შედგა, კაცო?

მათე. ორმოცდა ცამეტი თუმანი.

მელანია. აფსუს! ეგ მაგდენი რამე სულ მაგან უნდა მიიღოს, მაგ დანელებულმა?

მზექალა. დედავ, მაგრე რად ამბობ? მუქთად ხომ არ წაიღებს; იმსახურა მაგ საცოდავმა.

მათე. (**მზექალას**) ხმა იწყვიტე!. (მელანიას) აბა, ახლა ჩვენი ვიანგარიშოთ. უღელი ხარ-კამბეჩი—ოცი თუმანი. უღელი ხარი თოთხმეტი თუმანი. სულ ოცდა თოთხმეტი თუმანი. წყვილი ცხენიც—შენი ოცი თუმანი. სულ ორმოცდა თოთხმეტი თუმანი. დამლუპა მაგ დასაღუპავმა, დამლუპა!. ხუმრობაა!? (თავისთვის) ავიტან კიდევ, თუ კოჟი დამიჯდა.

მელანია. რას ამბობ, კაცო?

მათე. არცრას ჩემთვის ვანგარიშობ რაღაცას. (თავისთავის) დედაკაცს საიდუმლო მარჯვედ არ ეთქმის—მცდარია.

მელანია. რა არის, კაცო? რა გაგიჩნდა მარტოკას სასაუბრო?

მათე. შენ რაღას გადამეკიდე, ადამიანო? ვამბობდე, თუ ვამბობ, შენ რა ამითა?

მელანია. არცრა. მაგრამ რას ამბობდი, რად მიმალავ?

მათე. მეორე დედაკაცი უნდა შავირთო და იმასთან საუბარში ვარ გართული სიზმარში და საცხად.

მელანია. აი შენმა ჯანმა!

მათე. მაშ, რა გინდა, დედაკაცო, რად არ დამეხსნები? (**შემოდის ვასო**)

მათე. (ვასო) რა ჰქენი, ჰნახე ზურია?!

ვასო. ვნახე, მაგრამ ცხენები ვერ დავხელეთ.

მელანია. ის თვითონ სადღა არის, ის დანელებული!

---

1) დათირდება—დაყვავდება, დამშვიდდება.

ვახო. კარზე ჰდგას. მაგრამ ვერ შემოდის, ეხათრება.

მათე. მაშ. უნდა წავიდეს სადმე, ის არის მაგის ფიქრი!. (თავისთვის) რომ წასულიყო და კი არაფერი გამოერთვა, არაფერს ვინაღვლებ-დი. ეს კია ჯავრი მომდის. (გასაგონად) რაც მოძრაობა დაიწყო, მოჯამაგირეები თავს გა-ვიდნენ. „ხაზეინებს“ აღარაფრად აგდებდენ. მაგათ ის ავიწყდებათ, რომ, ვინც მდიდარია, მარტო ის არის კაცი და პატივისცემაც იმას ეკუთვნის. ასე ყოფილა უწინაც ასე უნდა იყოს ეხლაც და შემდეგაც. (ვასოს.) წადი, ზურია შამოიყვანე. როსნამდე იმალება?(**ვასო გადის და შემოჰყავს ზურია, რომელიც ძალიან და-ღონებულია**).

მათე. რატომ არ მოდიხარ, ზურიავ? უნ-და გაიპარო, ის არის შენი ფიქრი! მერე სად დაემალები ან ღმერთს ან თავის ნამუსს?

ზურია. მე შენი მოღალატე არა ვარ, ღმერ-თმა ხომ იცის. მაგრამ კი საქმე ისე ეწყობა, რომ საეჭვოდ ვხდები. ხარკამბეჩი ყაჩაღებმა წამართვეს, მაგრამ ის ცხენები კი არც ქურ-დის დაპარულები მგონია. ავი ხელის კაცი უფრო უკეთესს ცხენებს დაეშურებოდა, რო-მელებიც დამბულები მყვანდა. ის ცხენები ქურდის წასხმულები არა მგონია, მაგრამ სად აქრნენ, ვერ მივხვდარვარ.

მათე. ქურდი და ცხენებს არ დაეშურებო-და!! იორღეები რომ არ იყვნენ, იმით არ ვარ-ოდენ ის ცხენები? თუ არვინ დაიპარა მაშ ათ არ დამიხელე!

ზურია. მართალია, ცხენები დღესნამდე ვერ ავხელეთ, მაგრამ იმედია, დღეს-ხვალ გამოჩ-დებიან სადმე. შირაქს დიდი სიგრძე-სიგა-ე აქვს. ვინ იცის, სად გაეხეტა ოთხფეხი?

მათე. (დაცინვით) შენ ხომ ფხიზელი ბიჭი არ: იმდენს არ დაიძინებდი, რომ ოთხფეხს ანძილი გაევლო! ყარაბაღელები რომ არ იყ-ნენ, მიტომ არ ვარგოდენ ჩემი ცხენები? რა იყავი, მეთქი, რა? ჩემი ურიგო ცხენები ჩამა-არე, შე პირშაო, შე ძაღლის ნაშენო! (თან-ათან აენთება). რა მიყავი, მეთქი, ცხენები,) მამაძაღლო, შენა? (მიჰვარდება ზურიას და ლას შემოჰკრავს. მზექალა შუაში ჩაუვარ-ებათ, წიოკს იწყებს.)

ვასო. მათე, ცემა რა შენი საქმეა? ცემით ა ლანძღვა გინებით რა გამოვა? კარგია, დამ-ვიდდი!

მათე. ცოტა დამაცადოს, რა საქმე ვუყო ამ მაძაღლს.. (მათე ვასოს გაჰყავს).

მელანია (ზურიას) შენ წადი, გომი დახვე-ე. (ზურია გადის. მზექალას):

როცა გომი დახვეტოს, მერე შეშა გააჭრე-ნე, გესმის? მე წავალ, ხბოებს წავასხამ წყალ-. (გადის).

მზექალა. ჯერ კიდევ ხარკამეჩი არავის დაჰ-წყებია და ახლა-ცხენები! რაღა წყალში უნ-გადავვარდე? როგორ უნდა ვუშველო? რო-არ მოვიქცე? მამაჩემმა ხუმრობა არ იცის. საწყალს ბიჭს კიდეც აუტეხავს რასმეს. დის, ფანჯარას აღებს, გომისკენ გაიხედე-ბა, ხელით ნიშანს იძლევა და ისევ ჰხურავს რია მოდის მოხათრებით).

ზურია. სად წავიდნენ?

მზექალა. მამაჩემი, მგონია, „პოსტში“ წავი-

ზურია. ჩემს საჩივნელად წავიდოდა მამა-შენი?

მზექალა. ეხლა შენ რას გაგაჩერებდენ, რომ შენი დაჭერინება არ ედვას გულში მამაჩემს. ან გაქცევა არ აფიქრებდეს შენი?

ზურია. მამაშენს კიდევაც ეამება ჩემი გაქ-ცევა. რადა? იმიტომ რომ ოთხი წელი-წადია ვემსახურები და ჯამაგირი კი არა აქვს მოცემული. რომ ვიანგარიშოთ, მამაშენს ორმოცდათი თუმანი მაინც ემართება ჩემი. რომ გავიქცე, მამა შენს ის ფულიც შინ დარჩება და მეც ნამდვილ ქურდად გამო-ვალ. დაკარგული ცხენებიც იქნება ისევ გა-მოჩნდეს, რად გავიქცევ გიჟი ხომ არა ვარ.

მექალა. ცხენები რომ აღარ დაიხელოს, მაშინ რაღა ვქნათ?

ზურია. ნეტა მამაშენი შამჯერდეს, თორემ შენის გულისთვის მე ყველაფერს ვიკისრებ. რაც მოსაცემი ჯამაგირი აქვს, მაგასაც დავუთმობ და, თუ კიდევ დამედება რამე, ისევაც ვემსა-ხურები. ოღონდაც გული მოიქციოს. საჩივარს და ჩემს დაჭერინებას დაეხსნას.

მზექალა. ეგ რა კარგი მოიგონე, ზურიავ! მიაქციევე შენი ჯამაგირი და ხელწერილიც მიე-ცი, რომ აღარას მიედავები. მაგისთვის ორას სამას ფუთობით პურის აღებ-გაღება ხუმრო-ბა არ არის: ეგები გული მოიქცივოს და აღა-რაფერს მოგედავოს. მაგრამ აქ რომ აღარ და-გაყენოს, მაშინ რაღა ვქნათ?

ზურია არ ვიცი, მაგაზედ კიდევ მოვიფიქ-რებ. ვაჰმე! რა უხეიროდ მეშლება, მე უბე-დურს, ცხოვრების ხუხულა! შეიძლება მამაშე-ნი ვერაფრით შევიჯეროთ, ისევ დამაჭერინოს, და მეტიც მიყვნოს.

მზექალა. მართლა, რომ არ დაგთანხმდეს და ისევ დაგაჭერინოს, მაშინ რაღა გვეშვე-ლება?

ზურია. დამიჭირონ, რას მიზამენ? რა და-მიმტკიცდება ურიგო, როცა არაფერი დამი-შავებია. ცოტა ხანს ვეყოლები დაჭერილი და მერე, როცა არსაიდამ რა დამიმტკიცდება ცუ-დი ყოფაქცევა—ისევაც გამიშვებენ.

მზექალა. მე ვიშოვნი ყარაულების მოსას-ყიდს ფულსა თუ საპატიმროში ჩაგსვეს.

ზურია. არა, გენაცვალე, ეგ არ გამოდგება, მაშინ მე პირდაპირ მტყუანი გამოვალ. „თუ არ ტყუოდა, რა მიარბენინებდაო?“ იტყვიან. წაგიყვანო? და—სად წაგიყვანო მშიერმა და ტიტველმა? არა, ისევ ისა ჯობია ძველი ჯა-მაგირებიდამ სულ ხელი ავიღო და მაგას მი-ვაქციო. თუ არ იყაბულებს და დამაჭერი-ნოს, რა ვუყვა?.

მზექალა. შენი ჭირიმე, ზურიავ, თუ გიყ-ვარვარ, მამაჩემმა რაც უნდა გითხრას და გიყვას, მოითმინე; რომ კიდევაც გცემოს, ხე-ლი არ შეუბრუნო, აბეზარი კაცია,—სულ გა-დაირევა, დაიხსომე, არ დაგავიწყდეს.

ზურია. რაც მითხარ, ავასრულებ, ჩემო წუ-თისოფელო! (ჰხვევს ხელს და ისევ აშორებს. მხოლოდ ხელზედ ჰკოცნის, სანამდის ქალი ხელს უკანვე წაილებდეს. უცებ მათე შემოდის)

მათე (გაცეცხლებული) ამას რას ვხედავ? ეს რა ამბავია? ეს ღა მაკლდა! (ზურიას) შენ დაჰ-ლუპე ჩემი ოჯახი და კიდეც უნდა შემარცხ-ვინო? ვაჰ, ამას რაღას შაევსწარ. გნახოს ში მშიერთ შენ ჩემს ქალს თრთა ...?

ლას შეჰმოკრავს. ქალი წივილ-კივილით შუა-ში ჩაუვარდებათ).

მზექალა. მამავ, შენი ჭირიმე, მამავ, ნუ ჰჯავ-რობ! (მათე ზურიას ხელს მოაშორებს, მზექა-ლას მიუბრუნდება და ახლა იმას გააწნავს სი-ლას.)

მათე. აი, შე უნამუსოვ! (შემოდის მელანია)

მელანია. რა არის, კაცო, რა ამბავია!

მათე (დაშოშმინდება, განა დაიჯერებ, დე-დაკაცო, რომ გითხრა! ჩაფრების „პოსტზე“ მივდიოდი. შინ საფულე დამრჩომიყო. გზი-დამ დავბრუნდი. კარი რო შემოვაღე, (ზუ-რიასა და მზექალაზე უჩვენებს) ესენი ერთად იყვნენ და ერთურთს ეხვეოდნენ.

მელანია. უი ჩემს თვალებს! ცითომც მეხი დაგცათ! დაგმათრახოს ცხრა წმინდა გიორ-გიმ! თუ მაასწარ, რატომ კიდეც არ დაჰხოც-ნენ? ვაი! (მათე გულზე მოდის. უნდა დაეტა-კოს და ორივეს სცემოს. ამ დროს გარეთ აკა-კუნებენ).

ხმა გარედამ. ვინა ხართ შინა!

მათე. ყველანიც შინა ვართ. მანდით რას იძახი, შინ შამოდი (შემოდის მეზობლის ბი-ჭი პაპუა).

პაპუა. უკაცრავად კი ვარ და—ძოლან წა-მოიღეთ ბრინჯი, თუ გქონდესთ, მომეცით: სალმთო გვაქვს სალამოზედ კიდეც გადმაიარო-დით, მამაჩემმა გიწვიათ.

მათე. მაშ ბრინჯი და სხვა რამეები მარტო თქვენა გაქვსთ? (მელანიას) ერთი ფუთი ბრინ-ჯი რომ წამოვიღეთ, აუწონე და მიეცი. მე ცოტა საქმე მაქვს სხვაგან, იქ უნდა წავიდე. (მათე გადის).

მელანია (ზურიას) წადი გომური გამოხვე-ტე და სხვაგან არსად წახვიდე. (ზურია გა-დის).

ბაჩანა

ფ ა რ დ ა.

(დასასრული იქნება)

არავინ არ სთქვას

არვინ არ სთქვას—საქართველო,
დაირღვა და გადაგვარდა;
არა, იგი ამ ბრძოლაში
გამტკიცდა და გაიზარდა...

მას ამშვენებს თავის სახე
მას წითელი ამკობს ფერი;
გადალახა მტრების მახე,
გახდა მტკიცე და ძლიერი...

მებრძოლი და მოწინავე
მჩქეფარე გულს, შეყვარებულს.—
განახლების მოტრფიალე
ყველას უხსნის მის წითელ გულს...

ეს მშვენება ნათელ სახის
ჩვენც აშკარად დავინახეთ;
შრომის კერის აღსადგენად
მწყობრად წინსვლა განვიზრახეთ...

და ვინც ამბობს, საქართველო,
დაკნინდა და გადაგვარდა,—
სჩანს ახალს ვერ შეეთვისა,
მტრის ბანაკში გადაბარგდა.

სიო ხიდისთაველი

პროფესორ დაგინის ობსერვატორია

მეცნიერული ფანტაზია.

1.

ჩრდილოეთის საჰაერო დაზმის აეროპლანს 3. 5-ს ნახევარი საათის წინ გაუფუჭდა მოტორი.

მფრინავი დაგინი მოემზადა დასაშვებად, დაკვირვებით გაჰყურებდა მის ქვეშ გაშლილ ტყეების მწვანე ზღვას, რომელშიც აქა-იქ აღმართული იყვენ მაღალი კლდეები.

არც ერთი ხეირიანი ადგილი დასაშვებად არ სჩანდა. აეროპლანი სწრაფად ეშვებოდა. უკანასკნელ წუთში მფრინავმა ინსტიქტურად შეატრიალა აპარატი ნალისებურ კლდისაკენ, რომელიც აღმართულიყო ტყეების მწვანე ზღვაში.

რაღაც სასწაულით მოახერხა მან დაეშვება ფართე ქვის მოედანზე. აპარატის ფრთები მოედვა ბუჩქნარს და ამრიგად აეროპლანი არ გადიჩეხა უფსკრულში.

მფრინავი ძლივს გამოძვრა აეროპლანიდან. თავისუფლად ამოისუნთქა და მიიხედ-მოიხედა გარშემო.

მის წინ გაშლილიყო ტყეების ზღვა, რომელსაც არ უჩანდა საზღვარი.

ტყეების უსაზღვრო სივრცემ და ცაში ამართულმა მთებმა დაგინს მოაგონეს ბავშობა. დიდი ხნის წინათ, როცა ძლიერ პატარა იყო, ჯერ კიდევ ბავში გაგზავნეს ის პეტროგრადში. მამა გადავიდა მოსკოვიდან ვსევოლოდო-ბლაგოდატსკში, ასტრონომიის პროფესორის კათედრა გასცვალა მაღაროების უფროსის თანამდებობაზე, რომ აქ განმარტოებაში და მყუდროებაში განეგრძო მუშაობა მის მიერ გამოგონებული რეფრაქტორის რაღაც თავისებურ კონსტრუქციაზე.

გაადფორებით დაატრიალა ისარი მოვლენების ციფერბლატზე რუსეთის რევოლიუციამ... არ იცის მას შემდეგ დაგინმა თუ სად წავიდა მისი მამა ვსევოლოდ-ბლაგოდატსკიდან.

ქვევით უფსკრულში გადავარდნილი ქვის ყრუ ხმამ გამოარკვია დაგინი. მან უკანასკნელად მოავლო თვალი გარშემო მიდამოს და ენერგიულად შეუდგა გზის ძებნას.

ორასი საჟენი გაიარა და მოულოდნელად შენიშნა უზარმაზარი შენობა დიდი თლილი ქვებიდან. მოულოდნელობისა და გაკვირვებისაგან გაძლიერებით დაუწყო გულმა ცემა. აქ, 5000 ფუტის მანძილზე ადამიანის საცხოვრებელი! კიდევ ერთი წუთი და მან იპოვა კარები.

პირველ ყოვლისა მას თვალში ეცა ვებერთელა დარბაზი, სავსე რაღაც ფოლადის ბორბლებით, ელექტრონის ბატარეები, რადიო აპარატები და უზარმაზარი, არაჩვეულებრივი კონსტრუქციის ასტრონომიული აპარატებით.

შემდეგ, რგვალ მაგიდასთან კიბე-სავარძელში მოხუცის უძრავი ფიგურა.

მოხუცი მკვდარი იყო, მაგრამ სჩანდა დიდი ხანი არ გასულიყო, რაც მოკვდა.

მის წინ წინ მაგიდაზე ელაგა აუარებელი ნახაზები, ფოტოგრაფიული სურათები, რაღაც ციფრებით სავსე ქაღალდები და მათ შორის დაუმთავრებელი დღიური.

დაგინმა სწრაფად გადაფურცლა დღიური... გულზე ხელი იტაცა... თვალებს რაღაც ნისლი გადაეფარა... გალურჯებული ტუჩებით წაიბუტბუტა... „მამაჩემის ობსერვატორია. ამას სწერს ვიღაც უცნობი მოხუცი...

გაიტაცა საიდუმლოს გაგების სურვილმა... დაავიწყდა ყველაფერი და შეუდგა დღიურის კითხვას.

2.

აი რას სწერდა დღიურში გარდაცვალებული მოხუცი მეცნიერი.

...რამდენიმე თვის წინეთ გარდაიცვალა ჩემი მეგობარი და მასწავლებელი პროფესორი დაგინი, დამაარსებელი ამ ობსერვატორიის, ჩვენი დროის უდიდეს აღმოჩენათა ავტორი. ის მოკლა რადიის კონცენტრიულმა სხივებმა, რომლებიც შემთხვევით გამოგზავნეს დედა-მიწაზე მარსის მცხოვრებლებმა. ძლიერ გვიან აღმოვაჩინეთ ჩვენ ამ სხივებისაგან თავის დაცვის საშუალება, მაგრამ ჩემი სიკვდილის შემდეგ თუ ვინმე მოხვდება ამ ობსერვატორიაში, იცოდეს, რომ რეზინისა და ტყვიისაგან დამზადებული ტანსაცმელის ჩაუცმელათ და ტყვიის შუშისაგან გაკეთებული ნიღაბის ჩამოუხურავათ, არ შეიძლება მარსისთვის თვალყურის დევნება ამ რეფრაქტორების საშუალებით.

ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობ ჩემ მეგობართან. სიკვდილის წინ მან დამავალა ვიპოვო მისი შვილი და გადავცე მას მისი უკანასკნელი წერილი და მთელი მისი ცხოვრების ნაშრომი. ასეთივე თხოვნით მივმართავ იმ უცნობსაც, რომელიც რაიმე შემთხვევის წყალობით წააწყდება ამ ობსერვატორიას. მე ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება და ვერ შევსძლებ ჩემი მეგობრის და მასწავლებლის თხოვნის შესრულებას.

პროფესორმა დაგინმა ჯერ კიდევ ამ ობსერვატორიის მოწყობამდი გადასჭრა მოკლე ფოკუსიან მანძილის ამოცანა. სარკეების განსაკუთრებული კომბინაციის საშვალებით მან თანამედროვე უზარმაზარი რეფრაქტორები შესცვალა ძლიერ პატარა აპარატებით, რომლებიც საგანს ისევე ადიდებენ, როგორც დიდი რეფრაქტორები.

ისარგებლა რა ძველი პრინციპით, მან გაადიდა მის მიერ დამზადებული რეფრაქტორის ფოკუსის მანძილი და საგნების არაჩვეულებრივ გადიდების მიაღწია. ამ რეფრაქტორებით ჩვენ პირველად შევნიშნეთ ქალაქები მარსზე და შემდეგ თვით მარსიანები.

დაკვირვებებში მეტი სისწორისათვის საჭირო იყო, რომ რეფრაქტორები სრულიად უძრავი ყოფილიყვნენ. ამისათვის მან კლდეში გაიყვანა უზარმაზარი გვირაბი, რომელშიც მოაწყო თავისი რეფრაქტორი. რეფრაქტორის მთავარი ობიექტივის წინაშე მან მოათავსა პრიზმისებური აპარატი—სინათლის სხივების მიმღები.

ობსერვატორია ჩვენ მოვაწყვეთ ორ წელიწადში. ეს ჩვენთვის განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ჩემი მეგობარი მაღაროების გამგე იყო და ვითომდა მადნეულობის აღმოჩენის მიზნით შეეძლო მოეტანა ყოველგვარი მასალები, ესარგებლა მუშა ხელით ისე, რომ ეშვი არავის არ შეპარვოდა.

ჩვენი მუშაობის შედეგებს თქვენ იპოვით ხელნაწერებში, რომლებიც შკაფებში ინახება მაგრამ მე მაინც მინდა ავწერო აქ ჩვენი პირველი აღმოჩენები, ჩვენი აღტაცების პირველი გრძნობა, როცა მივმართეთ ჩვენ მიერ აღმოჩენილი რეფრაქტორი ცის ლურჯ უსაზღვრო სივრცეში.

მე არ ვილაპარაკებ აქ ჩვენ მიერ აღმოჩენილ ასეულ ახალი ვასკვლავების და ვარსკვლავთა სისტემების შესახებ, ჩვენ მიერ ნეპტუნს იქით აღმოჩენილი პლანეტის შესახებ, ორი თანამგზავრით, რომელსაც ჩვენ უწოდეთ დაგია... ვიტყვი მხოლოდ იმის შესახებ, რაც ჩვენ მარსზე აღმოვაჩინეთ.

3.

პირველათ ჩვენ მივმართეთ რეფრაქტორი ისმენის ტბის მიდამოებზე. არასოდეს არ დამავიწყდება აღტაცების ის გრძნობა, რომელიც მაშინ განვიცადე მე და რომელმაც მე ახალგაზრდათ გამხადა.

ჩემ წინ გადიშალა მართლა რომ თვალწარმტაცი სურათი.

მარსის ცა სულ მუდამ წმინდაა, მაგრამ მან ამ დღეს გაგვაოცა თავისი არაჩვეულებრივი გამქვირვალობით.

ლურჯი ლენტებით იშლებოდა ტბიდან 6 არხი, რომლებიც განსაკუთრებით გარკვევით მოსჩანდენ ტბის გარშემო მდებარე უდაბნოებში. სივრცე არხებს შორის დაფარული იყო ნათესებით, რომლებშიც აქა იქ მოსჩანდენ ხშირი ტყეები. არხების გასწვრივ გაშენებული იყვენ სახლები და რაღაცა უცნაური შენობები. ეს უკანასკნელნი თითქოს ჰაერში იყვენ გამოკიდული, ისინი იდგენ რაღაც საოცარი ფორმისა და კონსტრუქციის ბოძებზე. სახლებს ქვეშ მოთავსებულია მოედნები და ქვედა ქუჩები. სახლებზე ზევით კი მოწყობილი იყო ფართე ლითონის პლატფორმები.

ისმენის ქალაქი ღელავდა.

არხებში არაჩვეულებრივი სისწრაფით მოძრაობდენ ჩვენ მიერ ჯერ უხილავი კონტრუქციის ხომალდები. ჰაერში უზარმაზარი ასოებით შედგენილი გაზეთები და რეკლამები ცას ფარავდენ. სწორედ ეს ცეცხლის ასოები მიაჩნიათ დღემდი ჩვენს ასტრონომებს მარსიდან სიგნალიზაციათ. პროტონილუსის არხთან მდებარე შენობიდან ჰაერში აფრინდა ორი უზარმაზარი აერობილი. როგორც შემდეგ გავიგეთ, პროტონილუსის არხთან მდებარე ამ შენობაში მოთავსებული ყოფილა აერო-სადგური მარსის მთავარეებთან—ფობოსთან და დეინოსთან პირდაპირი მიმოსვლისათვის. განსაცვიფრებელ სურათს წარმოადგენს ეს ორი მთავარე, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლიან თავის ფაზებს. ეს ორი მთავარე მარსიანების კოლონიას წარმოადგენს. ყველაზე ახლოა მარსთან ფობოსი. მანძილი მასსა და მარსს შორის დაახლოვებით უდრის მანძილს ბერლინსა და ნიუ-იორკს შორის, ე. ი. 8.700 ვერსს. აერობილით ამ მაძილის გავლას უნდა სამი საათი.

ჩვენ გამოვიკვლიეთ ამრიგათ, მარსის მთელი რიგი ქალაქები და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ მარსის ყველაზე უდიდეს ქალაქად უნდა ჩაითვალოს მზის ქალაქი, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების ტბის პირას, და ქალაქი ნილოსირტი, ლიბიის ნაპირებზე, ტირენის ზღვასთან.

ქ. ნილოსირტის მახლობლად, ადგილებში, რომელსაც ტრიტონის ჭაობი ეწოდება, მოიპოვება ურანის აუარებელი მარაგი.

აქ მოთავსებულია მრავალი მაღაროები და რადიო-ქარხნები, მთელი ეს ადგილი ანათებს რაღაც ლურჯი მკრთალი სინათლით, რომელსაც გამოყოფს ურანის მადანი.

მთავარეები ფობოსი და დაინოსი ძლიერ ახლო არიან მარსთან. ათასი წლეების განმავლობაში მანძილი მათ შორის მცირდება და ეს მთავრეები უნდა დაეცენ მარსს.

ფობოსის ასეთი დაცემა ჩვენ დავინახეთ თავიდან ბოლომდი. მთელი კვირის განმავლობაში ჩვენ თვალს ვადევნებდით იმ შიშს, რომელმაც შეიპყრო მარსიანები, არაჩვეულებრივ ნგრევას, კატასტროფებს და აჯანყებას რომელიც დაიწყო მარსზე ამ შიშის ნიადაგზე. ამ აჯანყების ჩაქრობას წესრიგის დამყარებას და მცხოვრებთა გადარჩენის საქმის მოწყობას ამაოთ ცდილობდენ.

ოთხშაბათს დილით, როგორც მარსის ისე მისი თანამგზავრების ცაზე გამოჩნდა ობსერვატორიების ცნობა, რომ მარსის მთელს ჩრდილოეთ ნაწილს დაღუპვა მოელის.

ეს საკმაო იყო, დაწყებულიყო პანიკა, კოლონიების მცხოვრებლები ისწრაფოდენ კონტინენტისაკენ, ჩრდილოეთის მცხოვრებლები მიეშურებოდენ სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ.

ქ. ისმენი სასოწარკვეთილებამ მოიცო. სახლების ზევით ქუჩები გაივსო მარსიელებით, რომლებით სადღაც გარბოდენ.

არხებში ღელვა დაიწყო საშინელი სისწრაფით სამხრეთისკენ მქროლავ ხომალდებისაგან, აერობილები სერავდენ ცას.

ფობოსიდან განუწყვეტლივ მოქროდენ მარსისაკენ უამრავი აერობილები, ყველანი მიეშურებოდენ მზის ქალაქში. და მზის ქალაქი ღელავდა და ბორგავდა, ვერ იტევდა გამოქცეულ ხალხს. უმაღლესმა საბჭომ გადასწყიტა ბოლო მოეღო პანიკისათვის, რომელიც ყველაფერს დაღუპვას უქადდა.

ბრძანებების უზარმაზრმა ცეცხლის სვეტმა დაფარა ცა. ამავე დროს ორი საჰაერო სამხედრო რაზმი გაეშურა ფობოსისა და დაინოსისაკენ. იქ არ ყოფნიდათ სატრანსპოტო საშვალებები და სასოწარკვეთილი მასები ბრძოლით იკავებდენ აერობილებს, ასობით იღუპებოდენ აერო-სადგურებთან.

როდესაც საჰაერო ესკადრამ რადიო-ცეცხლი გახსნა, რომ ამით ბოლო პანიკისათვის, იფეთქა აჯანყებამ.

ბრბომ გასტეხა რადიო-არსენალები და სროლა აუტეხა ესკადრას.

ცეცხლის ენებმა დასერა მარსის ცა. ერთი ასეთი რადიო-ყუბარა შემთხვევით დედა-მიწისკენ გამოისროლეს და მან დასჭრა პროფესორი დაგინი, რომელიც ჩქარა ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

აჯანყება დაიწყო მარსზეც. ზევითა ქუჩებს ყუმბარებს ესროდენ და ხალხი ათასობით იღუპებოდა.

მთელი კვირის განმავლობაში მძინვარებდა ნგრევის ქარიშხალი.

შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში არაჩვეულებრივი სიწყნარე ჩამოვარდა.

და აი, დილით, სამშაბათს, სივრცეში ფობოსი მოულოდნელად შეტორტმანდა და არაჩვეულებრივის სისწრაფით გაექანა მარსისაკენ.

საშინელი სისწრაფით მოძრაობის გამო, ფობოსი გახურდა და სისხლის ფერ ბურთის სახე მიიღო.

არაჩვეულებრივი სიძლიერით დაეცა ის მარსს და დაფარა სივრცე ქალაქ მარეოსირტისა, ისმენსა და ოქსუსის არხს შორის მთელი ჩრდილოეთ ნაწილი.

როცა ორთქლი გაიფანტა, მთელი ეს სივრცე წარმოადგენდა გამდნარ-გავარვალებულ მასას, რომელიც არაჩვეულებრივად ელვარებდა. ეს გამდნარი მასა ნელა მიექანებოდა სამხრეთისაკენ და სპობდა ყველაფერს თავის გზაზე.

შემდეგ ღრუბლებმა დაფარეს დიდი ხნით მთელი მარსი, მხოლოდ ის ადგილი, სადაც ფობოსი დაეცა, ელავდა სივრცეში.

პროფესორმა დაგინმა უცებ სისუსტე იგრძნო. გულზე მას გაეხსნა პატარა ჭრილობა და სიმსივნემ მთელი გულის ფიცარი დაფარა.

ის გარდაიცვალა იმავე დღეს საღამოთი. „ვ დავასაფლავე ის აქვე, ობსერვატორიის ახლო... ასეთივე ჭრილობა აღმომაჩნდა მეც“...

4.

ხელთნაწერებს შორის შკაფში დაგინმა იპოვა მამის წერილი. წაიკითხა. ღრმად ჩაფიქრდა და უცებ იგრძნო, რომ განიცდიდა არა სიბარულს, არამედ რაღაც დიდს, განუზომელსა და გაუგებარს.

გ. არელსკი.

ზაჰესი

განცვიფრებული მტკვარი არაგვს ეკითხებოდა:
ჰეი, არაგვო, იფიქრებდი ეს მოხდებოდა,
რომ შრომის შვილი ჩვენზე ასე გამეფდებოდა?—
არაგვს გიმაჟსა, დადუმებულს, წყნარ მოუბარსა
თვის ბობოქრობა, მღელვარება დავიწყებოდა,
ის მოსცურავდა მაინც ცელქი აჩქარებული
ზედ გადურბენდა, თუ წინ რამე ეღობებოდა.
ხიდის ბურჯებს კი, იმის ფსკერში ჩამაგრებულებს,
მორიდებულად გვერდს უხვევდა განზე სხლტდებოდა,
და შრომის შვილი მკლავ მაგარი, ბუნების შეფე
ზედ დაჰყურებდა დიად ნაშრომს, იღიმებოდა,
მისი მარჯვენით მტკვარს და არაგვს ქედ მოდრეკილებს
გზა ეხშობოდა და კარები ეკეტებოდა..
შეჩერდა უცებ მათი დენა, შეკრთა არაგვი,
წინ ვეღარ იწევს, უკან-უკან იხევს მდინარე,
მტკვარიც ამაყი ბობოქარი, ქედ მოუხრელი
ისე დამშვიდდა,—გეგონება იყოს მძინარე.
შრომის შვილი კი იდგა მაღლათ, ზედ დაჰყურებდა,
გულით ზვიადი ოფლის მღვრელი, პირ მომცინარი.
ამაყათ მდენი ბობოქარი ორივ მდინარე
იხილა თვისგან მონად ქმნილი, მაგრამ მღელვარე,—
მონობაშიაც არ იხრიდნენ ამაყნი თავსა
და თავ-განწირვით დაეძებდნენ გამოსავალსა,
იბრძოდნენ,—ძველი კალაპოტი არ ეთმობოდათ
ახალ გზაზედაც ზღუდე კლდისა აჰფარებოდათ,
ზღუდე, რომელიც მოელოდა რღვევა-მსხვრევასა,
ზღუდე, რომელიც მათ უშლიდა გადმოხვევასა.
ჭკუა და ძალა ერთმანეთთან შერთებული
მედგრად ეკვეთნენ, გამობურღულს ზღუდეს პიტალოს.
წამლით აავსეს, რომ აფეთქდეს, და იგრიალოს.
ხმა შორს გაისმა,—საშინელი იყო გრიალი
ზღუდე დაინგრა, წყალს გზა მისცა,-ისმის ხრიალი
ფაფარ აყრილი მტკვარი მძლავრი იკვლევს ახალ გზას
თან ესალმება, კლდეს გაპობილს, უამბობს ამბავს.

მუშა **შაქრო ნავთლუღელი.**

1924 წ. 19 ნოემბერი

ანატოლ ფრანსი

ანატოლ ფრანსი მხოლოდ სტილისა და სილამაზის შემქნელი კი არ არის, არამედ იგი ცხოველ მონაწილეობას იღებდა მოქმედებასა და პარტიებშიც, ის ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე „ლ'იუმანიტეს“ რედაქციას. ბურჟუების გულის გასახეთქად, ის თავის თავს სოციალისტს უწოდებდა, ნამდვილათ კი კომუნისტობდა კიდეც. მას ხშირად შეამჩნევდი კაცი მუშათა მანიფესტაციებში, მიტინგებზე, ძალიან ხშირათ ქუჩაში მომხდარ დემონსტრაციებზეც. ზოგიერთი თავის თავს ეკითხებოდა კიდეც, თუ რა ულოღიკობას ძალით მიუტოვებია ამ „დილლეტანტს“ თავი'ი „სპილოს ძვლის“ სასახლე, საიდანაც თ ვისი უზენაესი ირონიით გადმოსცქეროდა ჩვეულებრივათ პარტიებს და ადამიანებს.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ ანატოლ ფრანსი სრულიადაც არ იყო სკეპტიკი. წინაღმდეგ! იგი იყო ნამდვილი გატაცებული პოლიტიკოსი. თავის ნებით იგი ჩაერია სხვა და სხვა იდეათა ბრძოლაში. იგი გამოვიდა ცხოვ'ების ჩვეულებრივ ასპარეზზე. ის სხვებსა სცემდა მუჯლუგუნებს, თვითონაც ხვდებოდა ბლომათ. ძალიან ხშირათ კი იგი დაუნდობლათ დასცინოდა თავის მოწინაღმდეგეს. ეს იყო მისი საუკეთესო იარაღი. ხან და ხან იმის კამათი ან წერილი სავსე იყო ნაღველით, სისასტიკით და ზოგჯერ მოუხეშაობითაც.

მოხდა რუსეთის პირველი რევოლიუცია 1905 წელს. ამ დროს ანატოლ ფრანსი ეწერება შრომის ბირჟაში მეცნიერთა საზოგადოებაში, ტროკადეროში. მონაწილეობას იღებს მრავალრიცხოვან კრებებში, სადაც ჰგმობდენ სისხლში მოსვრილ თვითმპყრობელობას, სადაც ჯვარზედ აკრავდენ საფრანგეთის ბურჟუაზიის სამარცხვინო კავშირს რეაქციის ჯალათთან. იგი მთელის ძალღონით სცდილობდა ხელი შეეშალა რუსეთის სესხისათვის, რომელსაც ჩვენი მთავრობა და ჩვენი გახრწნილი პრესა ყოველ'ვის მხარს უჭერდა თავგამოდებით.

ამ საუცხოვო კომპანიის დროს იგი მოსჩანდა თავისი ბუმბერაზულის აღტყინებით, ძარღვების თრთოლით, სიბრაზით, თავისი უძლიერესი აღშფოთებით თვითმპყრობელურ სენისა და გასისხლიანებულ ცარიზმის წინაღმდეგ.

ანატოლ ფრანსმა ახალათ მოგვდნა თავისი კეთილშობილი მჭერმეტყველობა, როცა მოხდა რუსეთის მეორე რევოლიუცია 1917 წელს. ამ რევოლიუციის განვითარებას იგი მთელი თავისი გულმოდგინეობით უკრავდა ტაშს, მიუხედავათ იმ წრის წინაღმდეგობისა, რომელშიაც იგი ტრიალებდა. ის იცავდა იმ დროს ბოლშევიკებს და იზიარებდა სავსებით მათ უმაღლეს აზრებსა და მოღვაწეობას. მე მაგონდება, ჩემი რუსეთიდან დაბრუნებისას 1920 წელს, ანატოლ ფრანსი მთხოვდა—ცოცხალი სიტყვით გამეგონებინა მისთვის ჩემი შთაბეჭდილებანი რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობაზე და მის მოღვაწეობაზე. რამდენიმე საათის განმავლობაში მიგდებდა ყურს და სცდილობდა, რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები მიეღო ამ უდიდეს მოვლენის შესახებ თანამედროვე ეპოქაში. მან იცოდა, რომ ლენინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლიუციის შესახებ დაბეჭდილმა მისმა წერილებმა. ანატოლ ფრანსმა ვერ დაჰფარა სიამოვნება, როცა მეც დავადასტურე ლენინის ასეთი შეხედულობა.

ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ სინამდვილე, რომ ბოლო წლების განმავლობაში იგი აღარ ერეოდა კომუნისტურ მოძრაობაში. ეს ჩვენთვის სრულიადაც არ იყო მოულოდნელი და ამიტომ არც გაგკვირებია. იგი მიჩვეული იყო განყენებულ აზროვნებას და ამავე დროს გასაოცრად ეთვისებოდა იგი საკაცობრიო უკიდურეს იდეებს. იგი გულწრფელათ და პატიოსნათ მიემხრო კომუნიზმს, როგორც ყველაზე საკაცობრიო და მისაღებ იდეალს. იგი უკვე გაიმსჭვალა იმ აზრით, რომ კაპიტალიზმი თავის არსებით საზიზღარია, რომ იგი არის სათავე ყოველგვარი ბოროტებისა, რომლითაც არის დასნეულებული თანამედროვე კაცობრიობა. ამიტომ იგი უნდა დაემხოს და განადგურდეს.

მან იცოდა აგრეთვე, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია იყვეს ნამდვილი მებრძოლი ამ სოციალური გარდაქმნისა. აქ გულისხმობდა იგი ნამდვილ მარჯვენით მომუშავეებს, რომელთაც, როგორც დიდრო, დიდის აღტაცებით უცქეროდა და ეს აღტაცება იყო გულწრფელი, ბუნებრივი. მაგრამ ის ჩერდებოდა აქ. მას ვეღარ წარმოედგინა, რომ ბოროტების მოსასპობათ აუცილებლათ უნდა იყვეს გამოყენებული რაიმე ძალმომრეობა. იგივე გაუგებრობა უშლიდა ხელს, რომ საფრანგეთის რევოლიუცია მიეღო როგორც მთლიანი მოვლენა, რადგან იქ იყო ბევრი ტრაღიკული და სისხლის მღვრელი მომენტები, რაც საშინლაო ეჩოთირებოდა მის ფილოსოფიურ გრძნობიერობას და შემეცნებას. მას ეგონა, რომ **ახალ ქალაქს** ააგებდა და თანაც დაიცავდა მხოლოდ ქნარზე დამღერებით. ბოლო დროს კი უკვე შეირყა მისი შეხედულობა, როცა დაინახა სინამდვილეში, რომ სისასტიკე და ძალმომრეობა აუცილებელია, როგორც გადამწყვეტ ბრძოლაში, აგრეთვე რევოლიუციის გამარჯვების შემდეგაც, რომ შესაძლებელი გახდეს რეაქციის იერიშების მოგერიება.

ანატოლ ფრანსი მოვიდა კომუნისტურ იდეების დასკვნამდე ჩვეულებრივ დემოკრატიულის გზით. მან აზრითაც კი ვერ გადალახა უკანასკნელი სამზღვარი იმ ბრძოლისა და მოქმედებისა, რომელმაც უნდა დაამხოს ის შავბნელი ძალები, რომელთა დამღუპველი არსებაც ისე საუცხოოთ დაგვანახვა თვით ანატოლ ფრანსმა.

საფრანგეთის პროლეტარიატმა კი თავისი სრული ნდობა გამოუცხადა რუსეთის რევოლიუციას. ბურჟუაზიის ძალმომრეობით მიღებულმა ყოველდღიურმა გამოცდილებამ იგინი საკმაოთ გაწვრთნა და შეაჩვია იმ სასტიკ აუცილებლობას, რომელსაც მოითხოვს თავის დროზე ისტორიული მომენტი.

რომ გადაარჩინონ თავიანთი თავიცა და მთელი კაცობრიობაც, იგინი ამ ბრძოლის დროს არ შეჩერდებიან შუა გზაზე.

მაგრამ იგინი მაინც მადლობელი არიან ამ მირონცხებული ადამიანისა, რომლის ღამპარიც ჩაქრა ეხლა, მადლობელი არიან, რადგან იგი ინაწილებდა მათ ზიზღსა და სამართლიან აღშფოთებას, რადგან იგი ბევრ ცრუმორწმუნოებას ებრძოდა თავის წრეში, რადგან მისი დაუნდობარი კრიტიკა საძირკველი შივე არყევდა ფულის ბატონობას, მილიტარიზმს, კაპიტალიზმს, იმ დროს, როდესაც თანამედროვე მწერლების დიდი უმრავლესობა ლაქიებივით ფეხქვეშ ეფინებიან გათახსირებულ კაპიტალიზმს. მუშები ყოველთვის შეინახავენ თავიანთ გულში უდიდეს მადლობის გრძნობას ანატოლ ფრანსისადმი, რომელმაც ოცდა ხუთი წლის განმავლობაში მუშათა იდეალს სამსახურათ მიუძღვნა თავისი მდიდარი გული, იშვიათი ცოდნა და შერავანდედით მოსილი უდიდესი სახელი მწერლისა.

მარსელ კაშენი.

(„ლ'იუმანიტე“)

მეგობრები გვესალმებიან

ფრანგი მწერლები საფრანგეთის მიერ ჩვენი ცნობის შესახებ.

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია მშრომელთა რესპუბლიკის ყველა მეგობრებს შორის, განსაკუთრებით კი თვით საფრანგეთში.

მეტად საინტერესოა ფრანგ მწერლების აზრი საფრანგეთის მიერ ჩვენი ცნობის შესახებ *) აი რას ამბობენ ისინი:

ჟორჟ დიუამელ

— მე ყოველთვის ვფიქრობდი და ვაცხადებდი, რომ ევროპას არ შეუძლია არსებობა ურუსეთოდ და რომ არ შეიძლება მშვიდობიანობის დამყარება მსოფლიოში რუსეთთან შეუთანხმებლად.

სიბრძნე იმაში გამოიხატება, რომ დაუყოვნებლივ დადვა ის ხელშეკრულება, რომელსაც ადრე თუ გვიან სულ ერთია ხელს მოაწერ. საფრანგეთმა იცნო ახლა საბჭოთა კავშირი. ბევრი დრო დაიკარგა მშვიდობიანობისა და შრომისათვის. თუ იდეალიზმმა ვერ შესძლო ამ შეთანხმების მიღწევა უფრო ადრე, ამ საქმისათვის ხელი უნდა მოეკიდა კეთილგონიერებას.

მარსელ მარტინე.

დრამის „ღამე“-ს („მიწა ყალყზე“) ავტორი

— თქვენ იცით თუ რა ბედნიერება არის ჩემთვის საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა. ეს ცნობა უდიდესი ისტორიული მოვლენა არის.

მადელენ მარქს.

ფრანგი მწერალი ქალი, კომუნისტი.

— „რუსეთის მუშებო და გლეხებო! ჩვენ უარვყოფდით თქვენს ძლიერებას, ჩვენ დავცინოდით მას, ჩვენ ვქირაობდით მკვლელებს თქვენს მოსასპობათ. მილიარდები ჯარისათვის გადადებული, ბლოკადა, მოსყიდული პრესა, ჯარისკაცები, ტყვეისმფრქვეველები,—ყველაფერ ამას მივმართეთ ჩვენ, რომ თქვენს თბილს სისხლში გაგვებანა ჩვენი წყეული ტრიუმფი. ჩვენ გამოგაცხადეთ თქვენ ავაზაკათ, ჩვენ ვამახინჯებდით თქვენს სახეს, რომ მსოფლიოსაგან დაგვემალა თქვენი გამარჯვება. ახლა კი... ჩვენ, რომლებიც ვეხმარებით თქვენს ჯალათებს და თვითონაც ვგევართ მათ, ჩვენ, რომლებსაც ჯერ კიდევ მონობაში გვყავს თქვენი ძმები, ვცხოვრობთ მათი შრომით და მზად ვართ დედამიწის პირიდან აღვგავოთ ისინი, თუ გაკადნიერდენ და წაგბაძავენ თქვენ, - ახლა, რუსეთის მუშებო და გლეხებო, ჩვენ ვაღიარეთ: **თქვენ ჩვენზე ძლიერები იყავით**!.

„ახლა, 29 ოქტომბერს, ჩვენ ვყრით ფარხმალს. ჩვენს ვცნობთ თქვენს ძალაუფლებას. თქვენი საბჭოთა მთავრობა—ერთად ერთია, რომელმაც შესძლო ძალაუფლების შენარჩუნება რუსეთში. თქვენ დაგვიმტკიცეთ ჩვენ,—რომ მუშათა კლასი, რომელიც ჩვენ მონობაში, გვყავს მთელს მსოფლიოში, ამიერიდან სრულწლოვანია, მას თვითონ შეუძლია უპატრონოს თავის თავს, აქვს შემოქმედებითი უნარი, შეუძლია განთავისუფლებისაკენ წაიყვანოს მთელი თავისი კლასი. ყველაფერი ეს—მამოსწავებელია ჩვენი დამარცხების ახლო მომავალში, ჩვენ ამას ვხედავთ და ვიცით, მაგრამ საკუთარი მტრული ხელებით ხელს ვაწერთ, ვადასტურებთ ამას.

„რუსეთის მუშებო და გლეხებო, არ დაივიწყოთ ეს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ. არ დაივიწყოთ გაკვეთილი, რომელიც ამ ცნობიდან გამომდინარეობს. „მეგობრები“ ისეთივე საფრთხეს წარმოადგენენ თქვენთვის, როგორც თვითმპყრობელები ახლო წარსულში. ამის დამამტკიცებელია სულ მოკლე ხნის წინეთ ინგლისში მომხდარი ამბები. განა ყველაფერი ის, რაც ინგლისში მოხდა ფარისეველური შეთქმულება არ არის? განა ინგლისის მთავრობა მისცემდა თავის თავს ნებას ბრალი დაედვა ჰოლანდიის ან ბელგიის მთავრობისათვის იმაში, რომ მენშევიკების ინტერნაციონალი, რომელსაც ცენტრი აქვს მათ ქვეყანაში, იქიდან საზღვარგარეთ ავრცელებს თავის პროპაგანდას? გახსოვდეთ, რომ ეს ვაჟბატონები, რომლებიც გარემოებამ აიძულა, რომ მოლაპარაკება დაეწყოთ თქვენთან, იმავე დროს შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოების პრინციპის წინააღმდეგ. ის, რაც ინგლისში მოხდა, შესაძლებელია განმეორდეს საფრანგეთშიც, სხვა ფორმით.

— რუსეთის მუშებო და გლეხებო, თქვენ ერთი წუთითაც, არ დაივიწყებთ, რომ თუ თქვენი ძალაუფლება გამტკიცდა ახლა და ცნობილია თქვენი მტრების მიერ, ის შესძლებს არსებობის გაგრძელებას მომავალში მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელს მსოფლიოში გაიზრდება ჩვენი საკუთარი მუშური ძალები, ჩვენი ციხე-სიმაგრე—კომუნისტური ინტერნაციონალი“.

ვიქტორ მარგერიტ

ცნობილი რომანისტი.

— წამებაში შობილი საბჭოთა რესპუბლიკა, მიუხედავათ იმისა, რომ ბედი არ ულიმოდა სიყრმეში, ჭეშმარიტად დიდი და სახელოვანია.

ჰანრი ბარბიუსი.

ცნობილი მწერალი.

— გასაოცარია, რომ ამ ცნობის მისალმება ჩვენ მხოლოდ ახლა გვიხდება. გასაოცარია იმიტომ, რომ ჩვენს „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას შეეძლო არ მოეცადა 7 წელიწადი, რათა მუშურ-გლეხური რესპუბლიკა არსებულათ და კანონიერათ ეცნო. ცნობის დიდი ხნით დადება აყენებს საფრანგეთს მეოცდაორე ადგილას იმ სახელმწიფოთა რიგში, რომლებმაც იცვნეს საბჭოთა კავშირში არსებული

ველგვარ სგფუძველს მიულოცოთ ჩვენს ქვეყანას „გამარჯვება“. გარდა ამისა ჩვენ ვერ დავიიწყებთ, რომ საფრანგეთმა გადასწყვიტა ეცნო სიბჭოთა მთავრობა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამოსწურა ყველა მატერიალური საშვალებები ისტორიაში პირველი და მისთვის

ჰანრი ბარბიუსი.

საშიში ნამდვილათ სოციალისტური, ნამდვილათ პროლეტარული რეიპუბლიკის მოსასპობათ. აშკარაა, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ბატონმა ერრიომ, ნაკარნახევია არა იმით, თითქო ის თანაუგრძნობს მშრომელთა რესპუბლიკის მისწრაფებებს, არამედ მხოლოდ ფინანსიური და კომერციული ინტერესებით. მეტად სასაცილო და ცხადი გახდა საფრანგეთისათვის, რომ მას წართმეული აქვს საშვალება ისარგებლოს აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვანი ბაზარით და ხელსაყრელი ფინანსიური კომბინაციებით. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ სწორეთ ამიტომ დაიკავა საფრანგეთის კაპიტალიზზმა ის პოზიცია, რომელიც გვამცნო ჩვენმა მთავრობამ. მას განზრახვა აქვს რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს რუსეთისაგან და ფარულათ იმედოვნებს, რომ ხელში ჩაიგდებს მას, ბატონი გახდება პოლიტიკურ სფეროშიც.

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა გვახარებდეს ორივე ქვეყნის ოფიციალური დაახლოება, რადგან ეს კიდევ უფრო გაამაგრებს საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტს.

რაც შეეხება მატერიალურ მხარს, საბჭოთა რესპუბლიკა საკმაოთ შორსმჭვრეტელია და ამიერიდან საკმაოდ ძლიერია, რომ ვისმენდა მისცეს კალონიად აქციონ ის და, ეჭვს გარეშეა, დაინტერესებულია ამოავსოს დიპლომატიური უფსკრული მასა და სხვა სახელმწიფოებს შორის. შესაძლებელია, რომ სხვა დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკა კიდევ არ იყო ასე ძლიერი და მტკიცე, ძლიერ ბევრი ცნობა და ოფიციალურად დარწმუნება მისდამი მეგობრობაში, სახიფათო იქნებოდა მისთვის. მაგრამ ეს დრო წავიდა და კომუნისტური რესპუბლიკის არსებობის 7 წლის თავზე საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ, პირველის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს.

კინო

რუსეთი

ბალეტი საბჭოთა კავშირში. გოსკინის განზრახვა აქვს გადაიღოს სურათი „ბალეტი საბჭოთა კავშირში“. გადაღებული იქნება ყველა შკოლები და მიმართულებები.

სტენლი აფრიკაში. გოსკინოს მიერ საზღვარ გარეთიდან მიღებულ სურათებს შორის არის სურათი „სტენლი აფრიკაში“. ეს სურათი საუკეთესოა ყველა უკანასკნელ ამერიკულ სურათებს შორის ეტნოგრაფიული მასალის სიმდიდრით. გადაღებულია ყველა ის ადგილები, სადაც კი გაუვლია ცნობილ მოგზაურს.

„ხელები შორს ჩინეთისაგან“ გოსკინომ დასდგა სურათი-შარჟი „ხელები შორს ჩინეთისაგან“, გუსმანის სცენარით.

„მოლლას ქალიშვილი“ თურქესტანის კომპარტიის ც. კ. ქალთა განყოფილება სდგამს სურათს „მოლლას ქალიშვილი“.

„ყინულის სახლი“—კინო-საზოგადოება „რუს“ შეუდგა „ყინულის სახლის“ გადაღებას.

გერმანია

„მეტროპოლის“ რეჟისორი ლანტი, რომელმაც დასდგა სურათი „ნიბელუნგები“ ამერიკაში გაემგზავრა. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ის დასდგამს სურათს „მეტროპოლის“ (მომავლის ქალაქი.)

ამერიკა

20 ათასი მანეთი კვირაში. ცნობილმა რეჟისორმა გრიფიცმა ხელშეკრულება დასდო კონს-ფირმასთან „Famons Plagers“ რომლის თანახმად გრიფიცი კვირაში მიიღებს 10,000 დოლარს (20 ათას მანეთს).

საფრანგეთი

„დორიან გრეის სურათი“. პარიზში შეუდგენ „დორიან გრეის სურათის“ დადგმას ოსკარ უაილდის რომანის მიხედვით.

ხელოვნების ქრონიკა

„სამი სიცოცხლე“. ამ ჟამათ საქართველოს კინო-მრეწველობის თეატრებში აჩვენებენ კინო-ფილმას „სამი სიცოცხლე“. სურათი აღტაცებას იწვევს საზოგადოებაში. კინო-თეატრები გაჭედილია ხალხით.

„რკინის რაზმი“. „სამი სიცოცხლის“ შემდეგ საქართველოს კინო-მრეწველობის თეატრებში წავა ახალი სურათი „რკინის რაზმი,“ რომლის უკანასკნელი მასიური სცენების გადაღება უკვე დამთავრებულია რეჟისორ ბარსკის მიერ.

„თავად მკვლავაძის მოკვლა“. რეჟისორმა პერესტიანმა დაამთავრა კინო-სურათის „თავად მკვლავაძის მოკვლის“ გადაღება. სურათი ნაჩვენები იქნება ახლო მომავალში.

„ხაჯი მურატი“. რეჟ. პერესტიანი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას კინო-სურათის „ხაჯი-მურატი“-ს გადასაღებათ. სურათი დადგმული იქნება ლ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით. შეკვეთილია ახალი კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა.

„ქარიშხალის წინ“. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ახლო მომავალში დაამთავრებს კინო-სურათის „ქარიშხალის წინ“ გადაღებას; სურათში დახასიათებულია რევოლიუციონური გლეხობის ყოფაცხოვრება. სურათს სდგამს კოტე მარჯანიშვილი.

„კამო“. რეჟისორი ვ. იგნატოვი შეუდგა სცენარის შედგენას სურათისათვის „კამო“, რომელიც მიღებული იქნა დასადგმელათ საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ.

„საქართველოს კინო“. გამოვიდა საქართველოს კინო-მრეწველობის ორკვირეული გაზეთის „საქართველოს კინო“-ს პირველი ნომერი რუსულ ენაზე. გაზეთი შინაარსიანია და მდიდარია სურათებით.

ქართველი მხატვრების სურათები გამოფენა. 29 ნოემბერს განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) გაიხსნება ქართველ მხატვრების სურათების გამოფენა.

„წითელი ეშმაკუნები“. ახლო მომავალში გადაღებული იქნება „წითელი ეშმაკუნების“ მე-3 და მე-4 სერია, რისთვისაც კინო-მრეწველობის დასი გაემგზავრება ბაქოში. სურათს სდგამს რეჟისორი პერესტიანი.

„აელიტა“. საქართველოს კინო-მრეწველობამ შეიძინა და ახლო მომავალში „არფასტო“-ში და „სოლეი“-ში ნაჩვენები იქნება ცნობილი სურათი „აელიტა“, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ რუსეთის საუკეთესო მსახიობები.

— **კინო-მსახიობები.** საქართველოს კინო-მრეწველობის გამგეობამ მუდმივ შტატში მოიწვია შემდეგი მსახიობები: ნატა ვაჩნაძე, მიშა ჭიაურელი, სოფიო ჟოზეფი, არნაზი და პ. ესიკოვსკი.

პიანისტის მოწვევა. საქართველოს კინო-მრეწველობამ სურათების მუსიკალურ ილუსტრაციისათვის მოიწვია თავისუფალი მხატვარი—პიანისტი სერგეი ორლანსკი.

„ტროადას დაცემა“ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების კინო-ბიურომ შეიძინა გრანდიოზული კინო-ფილმა „ტროადას დაცემა“, რომელიც წავა „კინო-პალასს“-ში. მთავარ როლებში—ვლ. გაიდაროვი და ალბერტ ბასსერმან.

„ონოფრეს ქორწინება“. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ კ. გულიაშვილის ერთ მოქმედ. პიესა „ონოფრეს ქორწინება“.

კინო-სურათები მაზრებში. საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ მაზრებში დაგზავნილია შემდეგი კინო-სურათები: „არსენ ჯორჯიაშვილი“-28 ადგილას, „სურამის ციხე“-39 ადგილას, „წითელი ეშმაკუნები“-24 „მამისმკვლელი“-19, „არსენა ყაჩაღი“-23, „მოძღვარი“-15.

კონკურსი. საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ გამოცხადებულია კონკურსი ყოფაცხოვრების, ისტორიული, რევოლიუციონური და რევოლიუციონურ-კომიკური ბასიათის საუკეთესო სცენარიებზე. პირველი პრემია-500 მან, მეორე-300 მან, მესამე-200 მან. სცენარიების წარდგენის ვადათ დანიშნულია 1925 წლის 15 იანვარი.

ს. ს. ფ. უ. ს. პოლიგ. განყოფ. 1-ლი სტამბა, პეტროვანოვის პრ. № 91. შეკვ. № 1498. მთავარლიტი № 2111. დაიბ. 11500.